სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 12 ივლისი 2006 №158 (2780) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაკი ბაქი ბუქით წავიდა

ნაწყენმა სტუმრებმა ბოლნისელებს მუჭარა დაუტოვეს

მწვრთნელების დუელი გაწევ-გამოწევაში გადაიზარდა და ჯახა ცხადაძემ და ბოიუჯაგა გაჯიევმა მეორე ტაიმი ტრიბუნაზე გაატარეს



უნას ფიათ ნოლ ბუდეთ!

პირველად იყო სიჯყვა?

ფიფა ყველაზე სკანდალური თავურის საქმეს ჩაუღრმავდა



მსოფლიო თასის მე-18 გათამაშება სამი დღის წინ ჩამთავრდა, მაგრამ ფინალურ მატჩს ისეთი გაგრძელება მოჰყვა, კომპეტენტური გამოძიებით თუ დასრულდება.

მარკო მატერაცის და ზინედინ ზიდანის ინციდენტი მჭექი ამბავი გამოდგა, რომელიც საფეხბურთო მილეთმა ყბად იღო და გუშინ ფიფამ გადაწყვიტა, ეს ინციდენტი საფუძვლიანად გამოიძიოს. რატომ აძგერა ზიდანმა თავი მატერაციის? ვერსია რამდენიმეა. მატერაცი ამბობს, ზიდანი კი მართლა შემომელანძღა, მაგრამ ფეხბურთელები ერთმანეთს ასეთნაირად ბარე ათჯერ უკურთხებენო. არადა, ზოგი ვარაუდობს და ზოგიც ამტკიცებს, იტალიელმა ფრანგს ისეთები უთხრა, რომ არ მოკლა, მადლობელი იყოსო.

ამ ყოველივეზე მეხუთე გვერდზე... ფიფა კი გუშინ გამოძიებას შეუდგა.



დღეიდან ასეთია მსოფლიოს ახალი რეკორდი 110 მეტრზე თარჯრბენში. ლოზანაში, მძლეოსნური სუპერ გრან პრის სერიის შეჯიბრზე ჩინელმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სიან ლიუმ ქურციკის სისწრაფითა და მოქნილებით დაძლია ეს დისტანცია და სამი მეასედი წამი ჩამოაკლო ძველ რეკორდს, რომელიც მასვე ეკუთვნოდა და 2004 წლის 27 აგვისტოს ათენის ოლიმპიურ თამაშებზე დაამყარა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

გაჯიევის გაჯი სიონმა და წითლებმა დაჰშვნეს

თბილისი. 11 ივლისი. 19.00 საათი. მიხეილ მესხი. 6 000 (ტევადობა 25 600)

სიონი 2:0 ბაკი

1:0 ჩასენი (70), 2:0 უგრეხელიძე (89)

სიონი	ბაკი
სიონი: ბათიაშვილი, კობაური, ლ. ჭელიძე, ჭიჭვეიშვილი, რაქვიაშვილი (ზ. ჭელიძე 46), ბაჯელიძე, შავგულიძე, ალავიძე, ქუცურუა (უგრეხელიძე 77), მიკუჩაძე, ევორზე (ჩასენი 46)	ბაკი: დიალო, ლადაგა (ამირბეკოვი 90), რ. გულიევი, ვ. გულიევი, მეგრელაძე (იონესკუ 53), სულთანოვი, რ. აბასოვი, ა. აბასოვი, იოვანდიჩი, მალიკოვი, ბანგურა
სათადარიგონი: ბობლიაშვილი; სვანიძე, ფრიდოლინი, ქარდავა	სათადარიგონი: მირზოევი; აბდულაევი, ხალილოვი, ფ. გულიევი
მწვრთნელი: კახა ცხადაძე	მწვრთნელი: ბოიუკაგა გაჯიევი

გაფრთხილება: ბაჯელიძე (13), ლადაგა (16), ვ. გულიევი (28, 34), იოვანდიჩი (27), ჩასენი (65), იონესკუ (74)

გაძევება: ვ. გულიევი (34), რ. აბასოვი (37); კახა ცხადაძე (46), ბოიუკაგა გაჯიევი (46)

მსაჯები: ტორსტენ კინჰოფერი; კრისტიან ზოლტოვი, დეტლეფ შეპე; პეტერ გაგელმანი (ყველა გერმანია)

უეფას დელეგატი: გი გუტალსი (ბელგია)

ბოლნისელთა კამერუნელის ერიკ რომეო ჩასენის საგოლე დარტყმა მართლაც მშვენიერი სანახავი იყო

დავით თავართქილაძე

ბოლნისის „სიონმა" სოლიდური რიცხობრივი უპირატესობა წარმატებით გამოიყენა და საპასუხო მატჩისთვის სოლიდური ფორა დაიბევა.

და რა გუნდი აღმოჩნდა „ბაკი"? შთაბეჭდილება ასეთია — ბაქოში „სიონს" მძიმე მატჩი ელის მიუხედავად იმისა, რომ „ბაკი" არ არის ის გუნდი, რომელსაც კუდი ევროპულ ყავარზე ედოს.

მეტოქეებმა ზედმეტი სიფრთხილის გარეშე დაიწყეს თამაში და ერთმანეთს შორეული დარტყმებით დაემუქრნენ. არჩილ ალავიძის და ლადაგას დარტყმები არაზუსტი აღმოჩნდა; ლევან შავგულიძემ ჯერ ბაქოელთა მეკარის ხელებს დაუმიზნა ბურთი, შემდეგ მიზანმა უმტყუნა; გიორგი ქუცურუას საჯარიმო დარტყმაც არაზუსტი გამოდგა. ერთი სიტყვით, ბოლნისელებმა ბაქოელებს კბილები მოუსინჯეს, კომბინაციური თამაში კი მაინცდამაინც არ გამოსდიოდათ.

პირველი სახიფათო მომენტი „ბაკიმ" შექმნა — გიორგი მეგრელაძის მონაგრებული ჯარიმა ჯეიხუნ სულთანოვმა ჩააწოდა, ხოლო რამაზან აბასოვმა თავით ახლოდან ხარიხას გადააცილო ბურთი.

აქედან რამდენიმე წუთში ბოლნისელებმაც უჩხვლიტეს მეტოქეს — კოკა მიკუჩაძემ „ბაკის" საჯარიმო მოედანში კარგად დაამუშავა ბურთი, მცველებს თავგზა აუბნია, მაგრამ დარტყმა გაუცუდდა.

და ორი გაძევება სამ წუთში — ვუგარ გულიევმა მეორე ყვითელი ბარათი ლევან ბაჯელიძესთან ორთაბრძოლისას მიიღო, ხოლო რამაზან აბასოვი თემურ რაქვიაშვილს ეუხეშა.

„ბაკის" მაინც ყინჩად ეჭირა თავი, შეტევაში კვლავაც ორი ფორვარდი ჰყავდა — გიორგი მეგრელაძე და გვინეელი პატე ბანგურა. სანამ ბაქოელები კაცნაკლულები დარჩებოდნენ, მეგრელაძე და ბანგურა დაცვაში მაშინაც არ ჩადიოდნენ, რაგინდ ხიფათი არ შექმნილიყო მათ კართან. ამით „ბაკი" მეტოქის ნახევარზე მუდმივად აკავებდა ოთხ სიონელს.

თერთმეტი ცხრაზე! ბოლნისელებს ყველაფერი წაღმა წაუვიდათ, თუმც მაინც ფრთხილობდნენ და არც გაემტყუნებათ — ეს ევროსარბიელია და „სიონის" ფეხბურთელთა უმეტესობას საერთაშორისო გამოცდილება არ აქვს.

ასეთი რიცხობრივი დისბალანსის შემდეგ „სიონმა" პირველ ტაიმში უმწვავესად მაშინ შეუტია, როცა მიკუჩაძის ჩაწოდებული ბურთისთვის თავი კამერუნელ მემეჯი ევორჩეს უნდა შეეშვირა, მაგრამ მეტოქე მცველს ვერ აჯობა. ტაიმის მიწურულს კი ცხრაკაციანმა „ბაკიმ" გამოიდო თავი — ბანგურას მოპოვებული ჯარიმა სულთანოვმა შეასრულა და ზურაბ ბათიაშვილმა კუთხურზე მოიგერია ბურთი.

ტაიმებს შორის გასახდელში ინციდენტი მოხდა და მატჩის გერმანელმა არბიტრმა კახა ცხადაძე და ბოიუკაგა გაჯიევი ტრიბუნაზე აუშვა — მეორე ტაიმი გუნდებმა უმთავარმწვრთნელოდ ითამაშეს.

გაჯიევი „ბაკის" სათადარიგოთა სკამის უკან, ტრიბუნის პირველ რიგში გამაგრდა, მოაჯირს დაეყრდნო და მას მცველად პოლიციელი ამოუდგა. იუზგარი წესრიგის დამცველი აზერბაიჯანელ მწვრთნელს სიგარეტითაც გაუმასპინძლდა.

„სიონი" შესვენების შემდეგაც დაძაბული ჩანდა, ლაღად თამაში უჭირდა, ბევრი ტექნიკური წუნი ჰქონდა და ამიტომაც 70-ე წუთამდე დაახანა გოლის გატანა. ისიც უნდა ითქვას, რომ „ბაკი" თავს უნარიანად იცავდა, ხოლო გვინეელ ბანგურას თითქოს ათი კაცის ჯანი ჰქონდეს, ისე ირჯებოდა — მეგრელაძის შეცვლის შემდეგ „ბაკი" უკვე ერთი თავდამსხმელით თამაშობდა.

ერიკ რომეო ჩასენის გოლი — მიკუჩაძემ მოხდენილი პასი მისცა და კამერუნელმა მაღალი ბურთი შეაწყვიტა ბადეს — წარმტაცი სანახავი იყო.

ამ გოლს, ამ თამაშს ოქროს ფასი ჰქონდა და ალბათ ამიტომაც ვერ გამოდგა კამერუნელის გოლი სარელაქსაციო საშუალება სიონელებისთვის — გუნდი კვლავ დაძაბული იყო და ბოლნისელთა შტაბმა მესამე შეცვლაც გახარჯა — მოედანზე ვლადიმერ უგრეხელიძე შეუშვა და ამან გაამართლა.

მანამდე კი ცხრაკაცა „ბაკიმ" ერთხელაც წამოყო თავი — სულთანოვმა და ბანგურამ კარგად გაითამაშეს ბურთი, მაგრამ „სიონის" საჯარიმოში შეჭრილი სულთანოვის დარტყმა არაზუსტი გამოდგა.

გოლის გასატანად „სიონმაც" გაიწია: ზაზა ჭელიძის თავური ოდნავ ასცდა მიზანს. ზუსტი კი უგრეხელიძის წერტილი იყო — შავგულიძის ჩაბზრიალებულ ბურთს მარჯვედ შეაგება მარჯვენა და 2:0 — საქართველოს ჩემპიონს მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე გასასვლელად ჩინებული შანსი მიეცა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე მხოლოდ „სიონის" მთავარი მწვრთნელის, კახა ცხადაძის თანაშემწე გიორგი ყიფშიძე გამოცხადდა:

— მთელ საქართველოს ვულოცავ ამ გამარჯვებას, განსაკუთრებით ბოლნისს, ეს ძალიან დიდი წარმატებაა. მსაჯობა ობიექტური იყო, ორი ბაქოელი ფეხბურთელის გაძევება ამ გუნდის უდისციპლინობაზე მეტყველებს. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა, იოლი თამაში არ ყოფილა. ბაქოში ძალიან დაძაბული თამაში გველის. „ბაკიდან" ყველაზე უფრო ბანგურა მომეწონა. რაც შეეხება მწვრთნელების გაძევებას, შელაპარაკება მოხდა, რომლის ინიციატორი გაჯიევი იყო — ჩამოხვალთ ჩვენთან და ნახავთ, რასაც გიზამთო...

სარბიელელები თანავუგრძნობთ
გოჩა მაჩაიძეს
შვილის
გარდაცვალების გამო

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
სამძიმარს უცხადებს თბილისის
„დინამოს" ყოფილ ფეხბურთელ
გოჩა მაჩაიძეს
შვილის
გარდაცვალების გამო

საქართველოს პროფესიული
ფეხბურთის ლიგა სამძიმარს უცხადებს
თბილისის „დინამოს" ყოფილ
ფეხბურთელ გოჩა მაჩაიძეს
შვილის
გარდაცვალების გამო

სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ

დღეს, 18 საათზე,
მიხეილ მესხის სახელობის
სტადიონის საპრესკონფერენციო
დარბაზში გაიმართება „ამერის"
პრესკონფერენცია.
პრესკონფერენციაზევე გაიცემა
უეფას თასის პირველ
საკვალიფიკაციო ეტაპზე
„ამერი" — „ბანანცის" მატჩის
აკრედიტაციები.

უეფას თასი

I საკვალიფიკაციო ეტაპი
პირველი მატჩი

მიხეილ მესხის სახელობის სტადიონი

13 ივლისი

ამერი — ბანანცი

თბილისი — ერევანი

დასაწყისი 20 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

ჩემპიონთა ლიგა 2006-2007

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

პიუნიკი (სომხეთი) 0:0 შერიფი (მოლდოვა)

ტვმკ (ესტონეთი) 2:3 ჰაფნარფიორდური (ისლანდია)

0:1 გუდმუნდსონი (33), 0:2 ოლაფსონი (68), 1:2 ჰაავისტუ (70), 2:2 დობრეცოვსი (76პ), 2:3 გუდნასონი (90)

ელბასანი (ალბანეთი) 1:0 ეკრანასი (ლიტვა)

1:0 სტოიკუ (75)

ბირკირკარა (მალტა) 0:3 B-36 ტორსჰავნი (ფარერები)

0:1, 0:2 სილა (14, 32), 0:3 ტორლეიფსონი (90)

დუდელანჟი (ლუქსემბურგი) 0:1 რაბოტნიჩკი (მაკედონია)

0:1 ველკოვსკი (77)

ლინფილდი (ჩრდ. ირლანდია) 1:3 ნოვა გორიცა (სლოვენია)

0:1, 0:2 დემიროვიჩი (14, 27), 1:2 დიკსონი (58პ), 1:3 შტურმი (66)

რუსეთი

პრემიერლიგა. XI ტური

ცსკა 1:2 როსტოვი

ლოკომოტივი 2:0 დინამო

ოლიმპის სასელექციო სერიები

მამუკა გუგეშაშვილი: სულ ცოტა, უეფას თასის საგზურის!

ჯერ ადრეა პროგნოზები, მაგრამ ის კი შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის „ოლიმპი“ მომავალ სეზონში ერთ-ერთი ფავორიტი იქნება. „თბილისი“ ბაზაზე შექმნილ კლუბს ისეთი ფეხბურთელები მოუგროვდნენ, სხვანაირად ვერც იქნება — ჯერ მარტო, „ბათუმის“ ექვსი მოთამაშე რად ღირს და ამათ დაუმატეს „თბილისის“ ახალგაზრდა, პერსპექტიული ბიჭები: გიორგი კახელიშვილი, ვლადიმერ დვალიშვილი...

რუსთავის „ოლიმპის“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, **მამუკა გუგეშაშვილი** იმედიანადაა, გუნდი, სულ ცოტა, უეფას თასის საგზურისთვის იბრძოლებსო...

ფოტო: ალექსანდრე ბერაძის

— ამჟამად სად ვარჯიშობს „ოლიმპი“?

— გუნდი გრიგოლეთში იყო შეკრებაზე, ახლა კი რუსთავში ვარჯიშობს. გრიგოლეთში ორი ტესტ-თამაში გავმართეთ: „ზუგდიდს“ 2:0, ოზურგეთის „მერცხალს“ კი 3:1 მოვუგეთ. მზადება ჩვეულებრივი რიტმით მიმდინარეობს, ოღონდ სელექციის დასრულებამდე ჯერ შორია.

— ფეხბურთელებთან, რომლებიც „ოლიმპში“ ვარჯიშობენ, ჯერ კონტრაქტები არ გაგიფორმებიათ?

— ასეთი შვიდი-რვა ფეხბურთელია, დანარჩენებზე კი დაკვირვება მიმდინარეობს. აი, დღეს გადაწყდა ვლადიმერ დვალიშვილის საკითხი — იგი თბილისის „დინამოდან“ გადმოვიბირეთ. ჩვენთან არიან ლაშა ქებაძე, გიორგი სეთურიძე, გიორგი და როინ ონიანები, მიხეილ მახვილაძე. ბრაზილიელი ტიაგოს დარჩენა-არდარჩენის ამბავი კი ჯერ გაურკვეველია. მათ გარდა, გიორგი კახელიშვილი და გასული სეზონის „თბილისის“ ფეხბურთელები — თორნიკე აფციაური, ბესიკ მიქიაშვილი, ლერი ხოხონიშვილი და სხვანი... ჩვენთანაა რევაზ გეწაძეც, ოღონდ მას ტრავმა აწუხებს და ჩემპიონატის დასაწყისში შეძლებს თუ არა თამაშს, არ ვიცით.

— საბოლოოდ როდის ჩამოყალიბდება გუნდი? უკვე საკმაოდ ძლიერი შემადგენლობა გყავთ და, წესით, ბევრი ფეხბურთელის დამატება, არც უნდა დაგჭირდეთ...

— რამდენიმე რგოლი გასაძლიერებელია, ეს კი მთავარ მწვრთნელ ნოდარ აკობიას და მისი თანაშემწეების პრეროგატივაა. მეკარეები, მიხეილ ალავიძე და რევაზ ნაჭყეპია გვყავს, თუმცა კიდევ ერთი გოლკიპერი გვჭირდება. 15 ივლისს გუნდი გრიგოლეთში ან ურეკში წავა მეორე შეკრებაზე, სადაც ბირთვი ჩამოყალიბდება.

— საშინაო მატჩებს რუსთავში ჩაატარებთ?

— დიახ. მინდორი ვერაა კარგ მდგომარეობაში, მაგრამ შემოდგომაზე უკეთესი იქნება.

— „ოლიმპის“ მიზანი რა იქნება მომავალ სეზონში?

— რეალურად ვამბობ: მინიმუმ საქართველოს თასი უნდა ავიღოთ და უეფას თასის საგზური მოვიპოვოთ. ისე, დაიწყება სეზონი და გამოჩნდება — ვინ იცის, ჩემპიონობისთვისაც ვიბრძოლოთ.

— სპონსორების მხრივ რამე ხომ არ შეცვლილა?

— არა. „ოლიმპს“ რუსთავის მეტალურგიული ქარხანა, ინგლისში მცხოვრები ირანელი ბიზნესმენი და „თბილისის“ ძველი ხელმძღვანელობა უსპონსორებს თეძურ უგულავას გამოკლებით.

ილია ნანოგაშვილი



ფოტო: ალექსანდრე ბერაძის

ვლადიმერ დვალიშვილი

ნუ გამოტოვებთ გაღამწყვეტ გოლს!

სიახლე! ჯეოსელისა

და ღამ-ღამის აბონენტებთათვის.

GEO ჯეო



გოლი

გააგზავნეთ SMS-ი ნომერზე 2006

და გამოინერეთ ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის განმავლობაში სრული ინფორმაცია ყველა მატჩისა და გატანილი გოლის შესახებ.

ფასი: 5 ლარი

აღნიშნული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მხოლოდ აქტიურ ნომრებზე.

ან ეწვიეთ Geogoli-ს wap.geocell.com.ge-ზე

და გადმოწერეთ:
ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატის ცხრილი,
მატჩების ანგარიშები,
ფეხბურთელების ფერადი სურათები,
გატანილი გოლების ვიდეო რგოლები,
ქვეყნის ჰიმნები.

ყველა, ვინც კი კარგ გოლს ელის ითხოვეთ ჯეოსელის

© 2002 FIFA TM

FIFA WORLD CUP GERMANY 2006

www.geocell.ge

ეროვნულს ბალახიც ეროვნული

დიდი მტვერსასრუტი სამუშაოები

ეროვნულ სტადიონზე სოფელ ქანდის მეურნეობაში მოყვანილი ბალახის დაგება ერთ კვირაში დაიწყება და სექტემბრამდე იდეალურ მდგომარეობაში იქნება. საამისოდ სტადიონზე უკვე ყველაფერი მზადაა — გაკეთებულია დრენაჟი, სარწყავი სისტემა, მილიმეტრებშია მოზომილი სათამაშო ალაგი... ერთად ერთი პრობლემა მტვერია, რის გამოც მოედნის დაგება რამდენიმე დღით გადაიდო. საქმე ისაა, რომ „ეროვნულზე" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე ავეჯის მაღაზიებისა და სასადილო ჯიხურების აღების შემდეგ ბევრი მტვერი დაგროვდა და ვიდრე იქაურობა არ გასუფთავდება, ბალახიც არ დაიგება. როგორც ინგლისელმა აგრონომმა დაიბარა, ვინც „ეროვნულსა" და ქანდის მეურნეობას ამას წინათ სტუმრობდა, სასურველია, ბალახის დაგება სასურველია ღამით დაიწყოს, დღისით კი წამოზრდილი წვერები უნდა გაიკრიჭოს. ინგლისელს სულ წვრილ-წვრილად დაუტოვებია ბალახის დაგებისა და მოვლის ინსტრუქცია.

ერთი . ამბავიც „ეროვნულიდან" ისაა, რომ გუნდების სათადარიგოთა სკამები ისევ სარბენ ბილიკებზე დაიდგმება. თავდაპირველად „ეროვნულის" ხელმძღვანელობა სათადარიგოთა ალაგის ძველებურად, ტრიბუნაზევე მოწყობას აპირებდა, მაგრამ შემდეგ საქართველოს ნაკრების თავკაცის კლაუს ტოპმიოლერის თხოვნა თუ რჩევა გაითვალისწინეს და გაახლებულ სტადიონზე სათადარიგოთა რიგს ისევ სარბენ ბილიკებზე ვნახავთ.

ლუკა თალაკვაძე

გურამ დოლენჯავაშვილის ფოტო



დომენეკი თბილისში მოდის

2 სექტემბერს თბილისში ევრო 2008-ის შესარჩევი ეტაპის მატჩში საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან საფრანგეთის უპირველეს გუნდს კვლავ რაიმონ დომენეკი გამოიყვანს.

დომენეკმა საფრანგეთის ნაკრები 2004 წელს ჩაიბარა, მას შემდეგ, რაც გუნდი ევროპის ჩემპიონატზე ჩაფლავდა — დომენეკმა ჟაკ სანტინი შეცვალა. მაშინ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ და დომენეკმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმეს და ეს ხელშეკრულება გერმანია 2006-ის შემდეგ დასრულდა.

ახლა კი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ დომენეკს კიდევ ორწლიანი კონტრაქტი შესთავაზა და მწვრთნელმაც ეს შეთავაზება მიიღო — იუწყება სააგენტო „როიტერი" — კონტრაქტი ჯერ ხელმოუწერელია და მისი დეტალები დასადგენია.

აწ დასრულებული მუნდიალის შემდეგ საფრანგეთის ნაკრები პირველ შეხვედრას 16 აგვისტოს გამართავს — სარაევოში ამხანაგურად გაეჯიბრება ბოსნია-ჰერცეგოვინას. შემდეგ, 2 სექტემბერს ფრანგები ჩვენ გვესტუმრებიან, მერე კი შესარჩევის მეორე მატჩს შინ ითამაშებენ იტალიასთან.

დომენეკი 54 წლისაა და მანამდე საფრანგეთის 21-წლამდელთა ნაკრებს წვრთნიდა. ფეხბურთელობისას კი „ლიონის", „სტრასბურის", პსჟ-ს, „ბორდოს" და „ტულუზის" მცველი იყო; ეროვნულ ნაკრებში რვაჯერ უთამაშია; ორჯერ იყო საფრანგეთის ჩემპიონი — 1979 წელს „სტარასბურში" და 1984 წელს „ბორდოში"; საფრანგეთის თასი 1973 წელს ასწია „ლიონში"; ფეხბურთელის კარიერა 1970 წელს დაიწყო და თვრამეტი წლის შემდეგ დასრულა.

დავით თავართქილაძე

კახა ალადაშვილი: თამაში და ნაკრები მინდა

კიევველ ქართველს დნიპროში დაუძახეს

თბილისის „დინამოდან" კიევისაში ზამთარში გადასული კახა ალადაშვილი მალე, ალბათ, კლუბს შეიცვლის და უკრაინაშივე, დნეპროპეტროვსკის „დნიპროში" ითამაშებს. დღესდღეობით კი კახა კიევში „დინამო 2"-თან ერთად ვარჯიშობს და ახალი სეზონისთვის ემზადება.

ადრე ვწერდით, ქართველ ნახევარმცველს კიეველთა სათადარიგო გუნდში თამაშის პერსპექტივა რომ არ აკმაყოფილებდა და ხელმძღვანელობას კონკრეტული წინადადებითაც მიმართა, მთავარ გუნდში თუ არ ვიქნები, მაშინ ეგებ გამანათხოვროთო. ამის შემდეგ მწვრთნელებმა ჩვენიანი მთავარ გუნდს ზედ ავსტრიული შეკრების წინ ჩამოაშორეს და კიევში დატოვეს. ამასობაში კი კახასა და „დინამოს" უფროსობას „დნიპროდან" დაუკავშირდნენ. „დნიპროში" გადასვლის წინააღმდეგი არც ფეხბურთელია და არც მისი კლუბი. საბოლოოდ ეს ამბავი უახლოეს დღეებში უნდა გაირკვეს

ალექსანდრ ბელოუსოვის ფოტო

— დიახ, „დნიპროდან" ნორმალური წინადადება მივიღე და ორიოდ დღის წინ პასუხიც შევუთვალე, რომ თანახმა ვარ ამ გუნდში ვითამაშო. არც კიეველები არიან ჩემი განათხოვრების წინააღმდეგნი, ბოლო სიტყვას კი „დინამოს" ხელმძღვანელობა ავსტრიული შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ იტყვის. საქართველოს ნაკრებში თამაში და ადგილის დამკვიდრება მსურს და ასეთ ვითარებაში ვერაფრით შევეგუები „დინამოს" სათადარიგოთა შორის ყოფნას. ახლა ყველაზე მეტად სწორედ სათამაშო პრაქტიკა მჭირდება და ამიტომაც სიამოვნებით გადავალ „დნიპროში". ეს გუნდი უკრაინაში საკმაოდ პოპულარულია და მაღალი ადგილებისთვის იბრძვის. „დინამო" კიევში 15 ივლისს დაბრუნდება და ჩემი საკითხიც იმ კვირაში გაირკვევა — გვითხრა გუშინ კახა ალადაშვილმა, ვისაც დიდად ეიმედება საქართველოს ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს და ეს ფეხბურთელიც მოწადინებულია, მუდმივი სათამაშო პრაქტიკა ჰქონდეს.

კიევის „დინამოსთან" ერთად კი ავსტრიაში ორი ჩვენიანია — ოთარ მარცვალაძე და დავით იმედაშვილი. მარცვალაძე ძირითად შემადგენლობაში ადგილის დამკვიდრებას ცდილობს, ხოლო იმედაშვილი ჯერ გასინჯვაზეა და მწვრთნელებს თავს აწონებს. რა გამოუვა, ამ შეკრების შემდეგ გამოჩნდება. უკრაინის ჩემპიონატი ათ დღეში იწყება და კიეველები იმედაშვილთან კონტრაქტის გაფორმებას თუ აპირებენ, ეს იქამდე უნდა გააკეთონ.

ძოგა ინასარიძე

გაჯი გაჯიევი: ხოჯავა კლასია!

კრილიას მხოლოდ ფასიღა აფერხებს

გაჯი კეთილაძის ფოტო

გოჩა ხოჯავა კვლავ სამარაშია და „კრილიაში" ვარჯიშობს. ნიჭიერმა გამთამაშებელმა ერთი-ორი ტესტ-მატჩი ჩაატარა, სადაც ერთი საგოლე პასითაც გამოირჩა და გუნდის მწვრთნელებს თავი მოაწონა. და მაინც, ხოჯავას გასინჯვა გრძელდება

გუშინ „კრილიას" თავკაცმა გაჯი გაჯიევმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც ჟურნალისტებმა გოჩაზეც ჰკითხეს, რატომაა ამდენ ხანს გასინჯვაზე, ხოჯავას კლასი არ გაკმაყოფილებთ თუ სატრანსფერო თანხა გეძვირებათო...

გაჯიევმა ჩვენიანზე მხოლოდ კარგი თქვა: „არ ვიცი, ხოჯავაში რა თანხას ითხოვენ, მაგრამ მე ის მომწონს და ამიტომაც მყავს გუნდში. ქართველი საკმაოდ ხარისხიანი მოთამაშეა იმისთვის, რათა „კრილიას" ძირითად შემადგენლობაში მოხვდეს. ის ბევრს მოძრაობს, აქვს დისტანციის გრძნობა, ამიტომაც ხშირად ატყუებს მცველებს. ორმხრივ მატჩებში გოლები საკმაოდ გააქვს. თამაშისას ჟინიანია და თანაც, დატვირთვებს იოლად ეგუება. ამიტომაც გოჩას ვიტოვებ გუნდში, თუმცა მის ადგილას თამაშობს დავით მუჯირი, რომელსაც ფლანგიდანაც შეუძლია შეტევა, ოღონდ სისწრაფე არ ყოფნის".

„კრილიას" მწვრთნელმა აღნიშნა, ხოჯავა ის ფეხბურთელია, რომელსაც იმპროვიზაციის უნარი აქვს და დაცვის მოყვარულ გუნდებთან განსაკუთრებით ბევრი სარგებლის მოტანა შეუძლიაო. „იგი არასტანდარტული სტილისაა და ასეთი ფეხბურთელი უნდა დააფასო. აი, „ამკარს" და „რუბინს" ძლიერი დაცვა ჰყავთ, პრიმიტიული შეტევებით მათ ვერაფერს დააკლებ. ამ დროს საჭიროა სისწრაფე და ტვინი, რაღაც ორიგინალურის გამოგონება. ეს კი ხოჯავას შეუძლია".

მაშ, რაღა დარჩა? გაჯიევი ჩვენიანის გუნდში აყვანაზე ბევრს არც იფიქრებს, მაგრამ ხოჯავას „როსტოვის" პრეზიდენტ სევიდთან აქვს პირადი კონტრაქტი და „კრილიას" ხელმძღვანელობაც ამიტომ ყოყმანობს.

„ბოლოს მაინც თანხასთან მივდივართ. არ ვიცი, გაიღებს თუ არა ჩვენი ხელმძღვანელობა დამატებით ფინანსებს" — დაამატა გაჯიევმა.

ილია ნანობაშვილი

ზიდანი დუმს, მატერაცი ალაპარაკდა

ვერსიების მსოფლიოს ჩემპიონატი

გუშინ მარკო მატერაციმ აღიარა, ზიდანს მართლა შევაგინე, თან ძალიან მწარედაც, ოღონდ იგი ამას იმსახურებდაო: „ზიდანს მაისურაზე მოვქაჩე, დამცინავად შემომხედა და მითხრა, ბიჭი, მაისურა გინდა? დამთავრდება თამაში და გავცვალოთო. ეს ისეთი ზიზღით გადმომილაპარაკა, თავი ვერ შევიკავე და ცუდი სიტყვები ვუთხარი, მან კი თავი დამარტყა ქუჩის ბიჭივით“.

ეს თუ ასეა, ქუჩაში ამაზე კლავენ

ზინედინ ზიდანმა იტალიელ მარკო მატერაცის იმიტომ დაარტყა, რომ მან მის ავადმყოფ დედაზე, მალიკაზე თქვა რაღაც — წერს ინგლისური „სანი“, რომლის ვერსიები, როგორც წესი, მართალი გამოდგება ხოლმე. „სანის“ ჟურნალისტებმა ტუჩით წამკითხველისგან შეიტყვეს, რომ მატერაციმ მას „ბოზი ტერორისტის შვილი“ უწოდა და ალჟირული წარმოშობის ფრანგიც სწორედ ამან გაახელა.

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის მავანმა წარმომადგენელმა (სავარაუდოდ, „სანის“ მიერ ფულით დაინტერესებულმა) განაცხადა: „ახალი ამბავი არ არის, რომ ყველას, ვისაც ზიდანის დედაზე რამე აუგი დასცდენია, პრობლემები შექმნია. ახლა დედაზე ნათქვამს მიუმატეთ ტერორიზმის თემა, რასაც საფრანგეთში მცხოვრები არაბი ემიგრანტები მეტად მტკივნეულად განიცდიან და წარმოიდგენთ შეურაცხყოფის მასშტაბს“.

ალექს ჰეისი, ფრანგული „ეკიპის“ ლონდონელი წარმომადგენელი: „იმ დღეებში, როდესაც ზიდანის დედა ავადაა, მასზე რამის თქმა არც ჭკვიანურ და არც ნამუსიან საქციელად არ უნდა ჩაითვალოს“.

მოკლედ, მატერაცისთან ჩხუბი ზიდანს დიდებული კარიერის ულამაზო დამთავრებად დაუჯდა, მატერაცისა და ზიდანის ეპიზოდი კი იმით დაიწყო, რომ... იტალიელმა ფრანგს ძუძუზე უჩქმიტა.

ტუჩის მოძრაობით სიტყვების ამოცნობის ინგლისში ერთ-ერთმა საუკეთესო სპეციალისტმა მარიან ფრერმა „სანის“ ჟურნალისტებს ორ ფეხბურთელს შორის სიტყვათა შემდგომი გაცვლა-გამოცვლაც ამოუცნო. კერძოდ, სათამაშო სიტუაციაში ძუძუზე ჩქმეტის შემდეგ მატერაცი ზიდანს ეუბნება, რომ მაღალი ბურთის მოგება მისნაირი თესლის საქმე არ არის. პასუხად ზიდანი იღიმება და ფეხბურთელები ერთმანეთს ცილდებიან, თუმცა წინ გადის თუ არა ფრანგი, უკნიდან მატერაცის მიაყვირებს, „ყველამ იცის, რომ ბოზი ტერორისტის შვილი ხარ“ და ამატებს იტალიურ სიტყვას „ვაფანკულო“, რაც „უკანალში წადის“ ნიშნავს.

თუმცა „სანმავე“ გამოქვეყნა ოდნავ განსხვავებული ვერსიაც, რომელიც მას იტალიის ნაკრებთან დაახლოებულმა მავანმა უთხრა. ისტორია აქაც ძუძუზე ჩქმეტით იწყება, ოღონდ მერე მატერაცი ეკითხება, თუ მოგეწონაო. ამ ვერსიის თანახმად, ზიდანი პასუხობს, რომ მის წასაქცევად ცოტა მეტი ღონე საჭირო და აი, აქ ეუბნება მატერაცი საძაგლობას: ნაზად იმიტომ გავაკეთე, რომ ვიცი, ასე დედაშენს უყვარსო.

ასეა თუ ისე, „სანის“ ჟურნალისტ ალექს პიკის მოკვლეულ ორივე ვერსიაში მატერაციმ ზიდანს დედაზე უთხრა რაღაც.

მატერაციმ სინდისთან ერთად გონებაც შეიზღუდა: ნეტავ რას ნიშნავს ტერორისტი?

დაირხა ხმები, რომ იტალიელმა მცველმა მარკო მატერაციმ მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში ზინედინ ზიდანს ზურგსუკნიდან ბინძური ტერორისტი მიაძახა და სამფეროვანთა კაპიტნის გაცხარებაც სწორედ ამან გამოიწვია — თუ დედამიწის ზურგზე არის ვინმე ისეთი, ვინც არ იცის, რაზეა ლაპარაკი, შეგახსენებთ, რომ ზიდანი უეცრად მოტრიალდა და მატერაცის მკერდში ღონივრად ჩასცხო თავი.

„ეს ტყუილია — თქვა დაყრილი ჭორების პასუხად რომის აეროპორტში მატერაციმ — მე მისთვის ტერორისტი არ მიწოდებია. სულ არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სიტყვა, ხოლო სინამდვილეში რა მოხდა, მთელმა მსოფლიომ ნახა!“

მთელმა მსოფლიომ ნახა... გამოდის, რომ ზიდანი, რომელიც მატერაციზე რამდენიმე მეტრით წინ, ზურგშექცევით მიდიოდა, უცბად გაგიჟდა, მოტრიალდა და უდანაშაულო კაცს თავი ჩასცხო. ამისი, რასაკვირველია, მთელ დედამიწაზე არავის სჯერა, თუმცა „ტერორისტის“ ვერსიაც საეჭვოა და უფრო პარიზში მდებარე ანტირასისტული ჯგუფის „SOS რასიზმის“ გამოგონილს ჰგავს. სწორედ ამ ორგანიზაციამ გაავრცელა თავისთვის ალბათ პოლიტიკურად სახეირო ხმები — „ბინძური ტერორისტი“ ხომ იმას ნიშნავს, რომ არაბული წარმოშობის ადამიანს „ალ ქაიდა“ შეახსენეს ანუ სისხლისა და გენის გამო გალანძღეს, რაც ანტირასისტულ ორგანიზაციებს ფეხბურთში რასიზმის წინააღმდეგ ახალი კამპანიის გაშლის საშუალებას მისცემდა.

საინტერესოა, ზიდანის მოედნიდან გამძევებლის, არგენტინელი მსაჯის, ორასიო ელიზონდოს მამის მონაყოლიც. „თამაში დამთავრდა თუ არა, ორასიოს ტელეფონით ვესაუბრე — ბრძანა აუგუსტინ ელიზონდომ — მას კმაყოფილი ადამიანის ხმა ჰქონდა, მაგრამ, როგორც კი ზიდანი ვუხსენე, ხმა იმწუთას შეეცვალა. მან მითხრა, რომ ზიდანი, უბრალოდ, გაგიჟდა და ის ვერც წარმოიდგენდა, რომ ასე მოიქცეოდა. მე ორასიო დავამშვიდე, ვუთხარი, რომ საუცხოოდ იმსაჯა.“

ალჟირის მთიან სოფელ აგემუნეში კი „დასჯილ თუ დაუსჯელ“ ზიზუს მოუთმენლად ელიან ნათესავები.

ბიძაშვილი რაბაჰ ზიდანი: „იმედი მაქვს, გამონახავს დროს თავისი ნათესავების, მეგობრებისა და მთელი სოფლის მოსანახულებლად“.

ცნობისთვის: აგემუნელები კვირას ფეხბურთს თავიანთ აშენებულ კაფე „ზიზუში“ უყურებდნენ.

ბრაზილიურმა TV GLOBO-მ ახსნა, თუ რატომ გაცოფდა მუნდიალის ფინალის 110-ე წუთზე დიდი ფრანგი და რატომ უთავაზა იტალიელ მატერაცის ლაზათიანი თავური მკერდში.

„შე ჩასვრილო ალჟირელო, წადი და შენს ბოზ დას მოუარე!“ — ბრაზილიელთა ვერსიით, ასე უთქვამს აპენინელ მცველს ზიდანისთვის. ამ სიტყვებზე უკვე მოედნის ცენტრისკენ მიტრიალებული ზიდანი შებრუნდა, მატერაცისკენ გაემართა და... დანარჩენი ყველამ კარგად ვნახეთ — ტკივილისგან გაბრუებული იტალიელი მინდორზე ეგდო, ფრანგმა კი წითელი ბარათი მიიღო და მოედანი დატოვა.

მუნჯები ალაპარაკდნენ და... ზიზუს ერი და და შეუგინესო

TV GLOBO-მ მატერაცის სიტყვები სტუდიაში მიწვეულ სმენადაქვეითებულებს გააშიფრინა. დასხდნენ ტელევიზორის წინ ტუჩების მოძრაობის მიხედვით ნათქვამის ამოცნობის სპეციალისტები და გაარკვიეს, 2006-ის მუნდიალის ფინალში რა მოხდა...

გარდა ამისა, ამ ხალხის მეშვეობით ჯანლუიჯი ბუფონის ზიდანისთვის ნათქვამ სიტყვებსაც ვიგებთ. გეხსომებათ, გასახდელისკენ მიმავალ ფრანგს იტალიელთა მეკარემ მხარზე მეგობრულად რომ მოხვია ხელი. ჰოდა, მაშინ ბუფონს ასე უთქვამს: „ზიზუ, მე ყველაფერი ვიცი, მაგრამ მსაჯის გადაწყვეტილება მაინც სამართლიანია“...

ზიდანის 36 წლის და დედმამიშვილებში ერთადერთი ქალია და თავზე ოთხი ძმა ადგა: მაჯიდი, ფარიდი, ნურადინი და თავად ზიზუ, ვინც მუნდიალის ფინალში მისი ღირსების დასაცავად ამხელა შარი და ხათაბალა შეიმთხვია...

მამა, ჩემო, დაიჯერე ჩემი

ჯუზეპე მატერაცი: ჩემი შვილი ტანჯული ანგელოზია

რამ აიძულა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში და თანაც, თავისი კარიერის ბოლო შეხვედრაში მარკო მატერაცისთვის თავი დაერტყა? ზინედინ ზიდანი ამ „საიდუმლოსთვის“ ფარდის ახდას რამდენიმე დღეში აპირებს.

იმას, რომ ფრანგი ვარსკვლავის გაფიცხება მარკო მატერაცის სიტყვიერი პროვოკაციის პასუხი იყო, არც იტალიური წყაროები მალავენ, ხოლო ზიდანის წარმომადგენელმა, ალან მალიაჩომ BBC-ის სპორტულ ტელეგადაცემაში განაცხადა:

„ზიდანმა გამანდო, რომ მატერაციმ რაღაც ძალიან სერიოზული უთხრა, თუმცა ამაზე ზუსტად ვერაფერს მოგახსენებთ. მას ამ თემაზე არ სურს საუბარი, თუმცა რამდენიმე დღეში ყველაფერს მოევფინება ნათელი. საერთოდ, ზინედინი ის კაცია, რომელიც მის გარშემო მოტრიალე ამბებს ყურადღებას არ აქცევს, მაგრამ იმ დღეს რაღაც აფეთქდა. მერე ის ძალიან გულგატეხილი და დამწუხრებული იყო. რასაკვირველია, კარიერის ასე დასრულება მას არ სურდა“.

და აი, მარკო მატერაცის მამის, ჯუზეპე მატერაცის ძალიან საინტერესო კომენტარი: „მატჩის შემდეგ მარკოს სულ რამდენიმე წუთი ველაპარაკე. მითხრა, რომ პროვოკაციაზე წამოაგეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ყოველ ისტორიაში მის წინააღმდეგ რაღაცას აწყობენ. არ მინდა, სკანდალური განცხადება გამომივიდეს, მაგრამ არის მომენტები, როდესაც ვილაცისკენ თითის გაშვერას და ვილაცისთვის ჩირქის მოცხებას სათქმელის თქმა სჯობს“...

და მართლაც, საინტერესოა, ნეტავ, რა იგულისხმა მამა მატერაციმ?

პაპუნა ძიდია
ლადო ხომერიკი

AFP

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდანი კანავარო და, მარჩელო, დარჩი!

საფრანგეთთან მოგებული ფინალის მერე იტალიის ქალაქებში რაც ხდებოდა, ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ ტიფოზებმა უფრო გრანდიოზული ზეიმი მაშინ მოაწყვეს, როდესაც მსოფლიოს აწ ოთხგზის ჩემპიონი სამშობლოში დაბრუნდა — რომის ქუჩებში მილიონამდე ადამიანი გამოვიდა.

„სკუადრა აძურას“ სამშობლოში დაბრუნებას სამოქალაქო აეროპორტებისთვის პრობლემები რომ არ შექმნოდა, გადაწყდა, ნაკრების თვითმფრინავი სამხედრო აეროდრომ „პრატიკა დი მარეზე“ დაშვებულიყო. ათასამდე ტიფოზმა იქაც მოახერხა შეღწევა. ისინი იქვე მყოფმა სახანძრო მანქანებმა გაწუწეს, რამაც დიდი ოვაციები გამოიწვია, აპენინებზე ხომ ახლა ძალიან ცხელა.

დადგა ნანატრი წუთი და თვითმფრინავი მიწაზე დაეშვა. მყისვე სამხედრო გამანადგურებლებმა გადაიფრინეს და ცა იტალიის დროშის ფერებით შეიღება. ტიფოზებს პირველი ნაკრების კაპიტანი ფაბიო კანავარო დაენახვა, რომელსაც კისერზე ოქროს მედალი ეკიდა და მსოფლიოს თასი მაღლა ჰქონდა აღმართული. მას მალევე მოჰყვნენ მარჩელო ლიპი, დანიელე დე როსი, ჯენარო გატუზო და სხვა თანაგუნდელები. ცოტა მოულოდნელი იყო, დე როსისა და გატუზოს უთმოდ ხილვა. ისინი გზაში კანავაროს გადაუპარსავს.

მსოფლიოს თასის ოფიციალური პრეზენტაცია და ნამდვილი ზეიმი კი „ჩირკო მასიმოზე“ შედგა, სადაც პოლიტიკოსებისა და სხვა ჩინოვნიკების გარდა 600-700 ათასი ტიფოზი შეიკრიბა. ძველ რომში, „დიდ ცირკზე“, დოღის მსგავსი ტურნირები ანუ გათქმული ფაეტონს ჩაბმული ცხენების შეჯიბრებები ტარდებოდა, რომელიც მაშინ უაღრესად პოპულარული გახლდათ, დაახლოებით ისე, როგორც დღეს ფეხბურთია.

აეროდრომიდან ნაკრები „პალაცო პიჯიასკენ“, პრემიერ-მინისტრ რომანო პროდის რეზიდენციისკენ გაემართა, საპატიო მიღებაზე. პროდი სხვა ჩინოვნიკებთან ერთად ორ საათზე მეტს მოთმინებით ელოდა „სკუადრა აძურას“, რადგან გახარებულმა ტიფოზებმა ქუჩებში ნაკრების ავტობუსი მრავალჯერ გააჩერეს.

გზაში ფეხბურთელებმა „ქვინის“ ლეგენდარული „WE ARE THE CHAMPIONS“ შეასრულეს. საუკეთესო ვოკალური მონაცემები იმ მომენტში მაინც ალესანდრო დელ პიეროს აღმოაჩნდა, რომელმაც ყველაზე უკეთ მიბაძა ფრედი მერკურის. ტიფოზებმა კი მრავალჯერ გაწუწეს ფეხბურთელები შამპანურით, რომლებიც პასუხად დიდი სიამაყით კოცნიდნენ ოქროს მედლებსა და მსოფლიო თასს და ქომაგებს აჩვენებდნენ.

„ეს, ალბათ, ყველაზე რთული მოგზაურობა იყო ნაკრებისთვის — ხუმრობით აღნიშნა პროდიმ — დიდი მადლობა „სკუადრა აძურას“, რომელმაც ბოლო პერიოდში მრავალ უსიამოვნებას გაუძლო და ღირსება დაგვიბრუნა“.

როგორც გაირკვა, ნაკრების ყველა ფეხბურთელი, მწვრთნელები და ტექნიკური პერსონალი სპეციალურ მედლებს მიიღებენ „რესპუბლიკისადმი დამსახურებისთვის“. დავჯილდოების ცერემონიალი პრეზიდენტის რეზიდენციაში გაიმართება.

„ჩემთვის დიდი პატივი იყო ფინალის ხილვა და ბოლო, ყველაზე დაძაბული წუთების განცდა. იტალია აღფრთოვანებულია თქვენი მებრძოლი სულით, გამარჯვებისკენ სწრაფვით და საოცარი თამაშით. თქვენ მსოფლიოს თასი, და ძველი დიდება დაგვიბრუნეთ. გმადლობთ!“ — განუცხადა „სკუადრა აძურას“ ქვეყნის პრეზიდენტმა ჯორჯო ნაპოლიტანომ, რომელიც ფინალს უშუალოდ „ოლიმპიაშტადიონის“ ტრიბუნიდან უცქეროდა.

„ეს გამარჯვება იტალიისთვის ყველანაირად სასარგებლო და სასიხარულო იყო. ახლა ჩვენდამი სიმპათია გაიზრდება, მათ შორის ფინანსურ ბაზარზეც და ეს ეკონომიკაზეც კარგად აისახება“ — განაცხადა იტალიის ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა მარიო ლეტიერიმ.

სხვათა შორის, „პალაცო პიჯიმდე“ მსოფლიოს თასი ფაბიო კანავარომ და .რომანო პროდიმ მიიტანეს. მათ „კოლონას“ მოედანზე გაიარეს. იქვე „სკუადრა აძურას“ საპატივცემულოდ კარაბინიერების ორკესტრი უკრავდა. ტიფოზების გარკვეულ ნაწილს კი ტრანსპარანტები ეჭირათ წარწერით: „სასწრაფოდ აღიარეთ კანავარო წმინდანად!“

ბოლოს კი „სკუადრა აძურა“ „ჩირკო მასიმოსკენ“ დაიძრა, სამართალდამცავებს უსაფრთხოების ნორმების დაცვა ძალიან უჭირდათ, მაგრამ, ყველაფერმა მაინც მშვიდობიანად ჩაიარა.

სიხარულისგან მეცხრე ცაზე მყოფი ტიფოზებისგან ყველაზე ხშირად გაიგონებდით შეძახილებს: „ჩემპიონები, მსოფლიოს ჩემპიონები ვართ“. და „მარჩელო, დარჩი!“

გიორგი ძაძაგაძე

AFP

საკლუბო ტიტულები მსოფლიო თასთან ახლოსაც ვერ მივა

ლიპის კრიჭი-კრიჭი გაახსენეს

იტალიის ნაკრები მსოფლიო ფეხბურთის პიკზეა, რაც, პირველ რიგში, მარჩელო ლიპის დამსახურებაა. ამაში თითქმის ყველა ერთხმად თანხმდება და „სკუადრა აძურას“ მოთამაშეები თუ ტიფოზები მას დარჩენას სთხოვენ. მაესტრო ლიპის პასუხები კი ყოველთვის ერთნაირი იყო — გადაწყვეტილებას ფეხბურთის ფედერაციასთან შეხვედრის მერე მივიღებო.

ბევრი საინტერესო რამ თქვა 1948 წლის 11 აპრილს ვიარეჯოში დაბადებულმა მწვრთნელმა გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე.

„იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ჯანკარლო აბატესთან შეხვედრა მაქვს და იქამდე ჩემს მომავალზე საუბარს არ ვაპირებ. ერთადერთი, რაც შემიძლია, დარწმუნებით გითხრათ, ის არის, რომ სამწვრთნელო კარიერას ვაგრძელებ. წასვლაზე შეიძლება მაშინ იფიქრო, როცა 65-70 წლის ხარ. უმაღლეს მწვერვალზე ასვლა ძალიან სასიამოვნოა, მერე იაზრებ, თუ რა რთული იყო ეს და ცდილობ, ახალი მოტივაცია იპოვო, ასეთია ცხოვრება. მეც, სადაც არ უნდა გავაგრძელო მუშაობა, იგივე ენთუზიაზმი და შემართება მექნება“ — აღნიშნა გუშინწინ ლიპიმ.

გეცოდინებათ, მაესტრო მარჩელო აქამდე სულ კლუბებში მუშაობდა, ძირითადად, ტურინის „იუვენტუსთან“ ერთად და დიდი წარმატებითაც. მას „ბებერი ქალბატონის“ თავკაცის რანგში, ფაქტობრივად, ყველა მნიშვნელოვანი ტურნირი მოუგია.

„სკუდეტო, ჩემპიონთა ლიგა, საკონტინენტთაშორისო თასი და სხვა ტიტულები მომიგია და ძალიან გახარებულიც ვყოფილვარ, მაგრამ საკლუბო ფეხბურთი, იქ მიღწეული წარმატებები და მსოფლიოს ჩემპიონობა აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის. კლუბთან ყოველდღიური ურთიერთობა და მარათონული სეზონი გაქვს. ნაკრებში კი ცოტა დრო გეძლევა, რომელიც მაქსიმალურად უნდა გამოიყენო და მოასწრო შეკრული გუნდის ჩამოყალიბება. რაც ბერლინში ფინალის მოგების მერე განვიცადე, არასოდეს განმიცდია. ეს საუცხოო, რაღაც განსაკუთრებული გრძნობა გახლდათ. „სკუადრა აძურასთან“ ერთად გატარებული ეს ორი წელი არასდროს დამავიწყდება“ — განაცხადა ლიპიმ.

ჭაღარა სპეციალისტის აზრით, ამ ფეხბურთელებს კიდევ შეუძლიათ დიდი წარმატების მიღწევა, მათ შორის, ევრო 2008-ის მოგება. აქვე შეგახსენებთ, რომ თუ ლიპი დანაპირებს აასრულებს, მალე თავხოტორას ვიხილავთ. აკი თქვა, თუ ჩემპიონები გავხდით, თავს გადავიპარსავო, ნახევრად ხუმრობით, მაგრამ მაინც.

„ნაკრებში ძალიან ძლიერი მოთამაშეები არიან შეკრებილნი, რომელთა დიდი ნაწილი ევროპული გრანდების ძირითად შემადგენლობაში თამაშობს. მათ დიდი საქმე გააკეთეს და ახლა დასვენება ერგებათ, მაგრამ მომავალში წარმტებების მიღწევა კვლავ შეეძლებათ. ვთქვათ, ევროპის 2008 წლის ჩემპიონატზე. რა თქმა უნდა, ამ შემადგენლობის ბოლომდე შენარჩუნება შეუძლებელია, მაგრამ ბირთვი არსებობს, რომელიც რამდენიმე ახალგაზრდა ფეხბურთელით უნდა გადახალისდეს. მუნდიალისთვის მზადებისას, სწორედ, ასე მოვიქეცით“.

ჩემპიონობა იტალიისთვის ორმაგად მნიშვნელოვანი იყო, ქვეყანაში ატეხილი მატჩების ჩაწყობასთან დაკავშირებული სკანდალის ფონზე. შეგახსენებთ, რომ ამ საქმესთან დაკავშირებით თავად ლიპიც დაკითხეს. მისი ვაჟი დავიდე კი ერთ-ერთი ეჭვმიტანილი გახლავთ. ეს ყველაფერი ზედ მუნდიალის წინ მოხდა.

„ჩვენმა მოთამაშეებმა აჩვენეს, რომ იტალიურ ფეხბურთს დიდი ტრადიცია, ძალა და ღირსება აქვს, როგორც უშუალოდ სპორტული, ასევე მორალური თვალსაზრისით. „სკუადრა აძურას“ თავის გასამართლებელი არაფერი ჰქონდა, ბიჭებს სკანდალთან არანაირი კავშირი არ აქვთ, მაგრამ მათ „კალჩოს“ მისცეს ყველაფრის თავიდან დაწყების შანსი“ — თქვა ლიპიმ.

სიგარის მოყვარული სპეციალისტის აზრით, წარმატების საწინდარი ნაკრებში შექმნილი მეგობრული და საბრძოლო ატმოსფერო გახლდათ. მუნდიალზე ჩატარებული მატჩებიდან კი, ლიპის თქმით, ყველაზე მნიშვნელოვანი შესაძლო ჯგუფური ეტაპის მესამე შეხვედრა იყო. შეგახსენებთ, რომ ჩეხებთან ვერმოგების შემთხვევაში, იტალია მერვედფინალში ბრაზილიაზე გადიოდა, ხოლო წაგება სულაც ჯგუფში ჩატოვებდა.

„ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლა გვსურდა, რადგან პლეი ოფში შედარებით ადვილი გზა გვქონდა. ამისთვის კი მესამე მატჩში ჩეხების დამარცხება იყო საჭირო და ბიჭებს ვუთხარი, შანსი ხელიდან არ გაეშვათ, რაც გადამწყვეტი გამოდგა“ — დასძინა ლიპიმ.



აქვე აღვნიშნოთ, რომ ბოლო დღეებში აქტიურად ვრცელდებოდა ჭორები. ლიპის მისი ძველი ნაცნობი და მეგობარი, სერ ალექს ფერგიუსონი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ეჭაჩება — მომავალ სეზონში ერთად ვიმუშაოთ, რათა გარემოს შეგაჩვიო, ხოლო მერე შენებურად გააგრძელე და „მანჩესტერში“ ახალი „ოქროს ეპოქა“ შექმენიო. შოტლანდიელს თავში ასეთი აზრი დიდი ხანია, უტრიალებს. თავად ლიპის რამდენჯერმე უთქვამს, ძალების მოსინჯვა საზღვარგარეთ მინდაო.

„ჩვენ მსოფლიოს ჩემპიონატი მოვიგეთ და ნაკრებში ბევრი კარგი რამაც დავინახეთ. ასე რომ, ცხადია, ლიპის დარჩენა გვინდა, მაგრამ ყველაფერი თავად მასზეა დამოკიდებული. ვფიქრობ, გადაწყვეტილებამდე უახლოეს დღეებში მივალთ“ — ეს კი იტალიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის, ჯანკარლო აბატეს აქვს ნათქვამი. იგი გუშინ ლიპისთან აპირებდა შეხვედრას, მაგრამ ვიზიტი ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო გადაიდო.

გიორგი კაკაბაძე

ფრანგებო, თქვე ზანგებო!

არის ასეთი პარტია, პარტია კომუნისტებისა



რობერტო კალდეროლი

იტალიაში არის ასეთი მემარჯვენე სენატორი რობერტო კალდეროლი, რომელიც სილვიო ბერლუსკონის მთავრობაში ერთ-ერთ მინისტრად მუშაობდა, მაგრამ თანამდებობა დაკარგა. და, რა შუაშია ჩვენს სპორტულ გაზეთთან და მის თემატიკასთან უფალი სენატორი? ახლავე მოგახსენებთ, ოღონდ მანამდე მის დასახასიათებლად იმას გეტყვით, თუ რატომ დაკარგა მან მინისტრის თანამდებობა — საჯაროდ გამოჩნდა მაისურით, რომელზეც მუსლიმთა უდიდესი წმინდანის, წინასწარმეტყველი მუჰამედის კარიკატურა ჰქონდა გამოსახული. და აი, სინიორ კალდეროლიმ იტალიის ნაკრების მიერ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ განაცხადა, რომ ფინალში მისმა ქვეყანამ პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა, რადგან დაამარცხა გუნდი, რომელშიც ზანგები, მუსლიმები და კომუნისტები თამაშობდნენ.

უფალი კალდეროლის ამ განცხადებას, ბუნებრივია, საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს პროტესტი მოჰყვა და დიდ იტალიურ გაზეთებს, „ლა სტამპასა“ და „კორიერე დელა სერას“ მათ ქვეყანაში საფრანგეთის ელჩის ივ ობენ დე ლა მესუზირის ოფიციალური განცხადების გამოქვეყნება მოუხდათ.

„საფრანგეთი ამაყობს თავისი ნაკრებით, რომლის ფეხბურთელებიც, წარმოშობის მიუხედავად, მისი შვილები არიან. სინიორ კალდეროლის შევახსენებთ, რომ რამდენიმე მათგანი წამყვან იტალიურ კლუბში თამაშობს და ამ კლუბების გულშემატკივართა შორის ფრიადი პოპულარობით სარგებლობს“.

ჩვენ კი დავძენთ, რომ, როგორც ჩანს, თითო ჟირინოვსკი ყველა ქვეყანაში მოიძებნება და კიდევ, ნეტავ სინიორ სენატორს საფრანგეთის ნაკრების კომუნისტი წევრი დაესახელებინა... ისე, ყოველი შემთხვევისთვის.

პაპუნა კედია

ტოტი აქეთ-იქით ისრევა

იტალიის ნაკრების ვარსკვლავმა, ფრანჩესკო ტოტიმ განაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის რანგში „სკუადრა აძურადან“ წასვლას ფიქრობს.

„ძალიან ხშირია შეკრებები, სტრესი... დროა უკვე ოჯახთან ვიყო, რაც შეიძლება დიდხანს — უთხრა „გაძეტა დელო სპორტს“ „რომას“ 29 წლის კაპიტანმა, თუმცა, იქვე დასძინა — მეორე მხრივ კი, ახლა წასვლა ძნელია. მოკლედ, ვორჭოფობ და ჩემი შანსები 50/50-ზეა“.

ფრანჩესკო ტოტის იტალიის ნაკრებში 51 შეხვედრა აქვს ჩატარებული და 8 გოლი გატანილი.

პაპუნა კედია

იტალიამ გერმანიას ვალი დაუბრუნა

მცველი, რომელიც უკვე მრავალი წელია, უმაღლეს დონეზე თითქმის შეუცდომლად თამაშობს. ირჯება ისე ეფექტურად, რომ ბარე ორ ლამაზ ფინტს თუ გოლს სჯობია. ხშირად ერთვება შეტევებშიც და საკმაოდ სასარგებლოდ. ახლახან დასრულებულ მუნდიალზე საუცხოოდ ითამაშა და საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებამდე სულ რამდენიმე ხმა დააკლდა, თვით ზინედინ ზიდანთან ჭიდილში...

ეს „სკუადრა აძურას" კაპიტანი ფაბიო კანავაროა, რომელთანაც მოკლე, მაგრამ საინტერესო ინტერვიუს გთავაზობთ. მოგეხსენებათ, 33 წლის ფეხბურთელით რამდენიმე გრანდია დაინტერესებული, ლონდონის „ჩელსისა" და მადრიდის „რეალის" თამადობით და თუ „იუვენტუსს" დააქვეითებენ, იგი, ალბათ, კლუბს გამოიცვლის

— რა გრძნობა დაგეუფლათ ფინალის დასრულების შემდეგ?

— სიტყვებით ამის გადმოცემა შეუძლებელია. ეს ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო. ყველას ბავშვებივით გვიხაროდა. იმდენი ადამიანი გვქომაგობდა, რომ მათი გაწბილების უფლება არ გვქონდა. ეს მთელი იტალიის გამარჯვებაა. განსაკუთრებულად სასიამოვნო იყო მუნდიალის გერმანიაში მოგება. ისინი ხომ იტალიაში გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები და, შეიძლება ითქვას, ვალი დავაბრუნეთ.

— ხედავთ, რა ხდება იტალიის ქალაქებში?

— რა თქმა უნდა. ვფიქრობ, სამართლალდამცავები პედანტურად არ მოიქცევიან და ხალხს სათანადოდ მისცემენ ზეიმის საშუალებას. თუმცა მათ არც არავინ არაფერს შეეკითხება! ახლა ტიფოზები შეუჩერებლები არიან!

— საფრანგეთი ღირსეული მეტოქე იყო?

— მათ ბრწყინვალე ნაკრები ჰყავთ: ზიდანი, ვიეირა, ანრი — დიდი ფეხბურთელები არიან, თუმცა ისინი უკვე იყვნენ ჩემპიონები და ახლა ჩვენი ჯერია.

— რას იტყვით ზინედინ ზიდანის საქციელზე?

— ამაზე კომეტარის გაკეთების სურვილი არ მაქვს. ამგვარი რამეები ბრძოლისას ხდება ხოლმე. არ ვიცი, რა მოხდა, მაგრამ რაც არ უნდა ეთქვა მარკო მატერაცის, ზიდანის საქციელს გამართლება არ აქვს.

— როგორ შეხვდით თქვენ და მთლიანად იტალიის ნაკრები იმას, რომ მუნდიალის საუკეთესო მოთამაშედ ზიდანი აღიარეს?

— სხვების მაგივრად არ ვილაპარაკებ, მაგრამ პირადად მე ამ გადაწყვეტილებამ არ გამაკვირვა და მიხარია, ზიზუს წარმატება. იგი დიდი ფეხბურთელია და ფინალში მიღებული წითელი ბარათიც ვერ აკნინებს მის მიღწევებს.

— თუმცა შესაძლოა, საუკეთესო თქვენც ყოფილიყავით...

— ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის. მე თამაში მევალება. შემიძლია, მხოლოდ ის გითხრათ, რომ ამ აღიარების ღირსი ნებისმიერი ჩემი თანაგუნდელი იყო. ივიეე ანდრეა პირლოს შეეძლო, გამხდარიყო საუკეთესო, მაგრამ...

— ფინალი თქვენი მეასე მატჩი იყო ეროვნულ ნაკრებში. რა იქნება მომავალში?

— ასმეერთე მატჩი. მალე 34 წელი შემისრულდება, მაგრამ ჯერ კიდევ სავსე ვარ ენერგიით და სურვილით. მინდა, მომავალ მსოფლიოს ჩემპიონატზეც ვითამაშო. შესაძლოა, სამხრეთ აფრიკის მუნდიალი მეოთხე გახდეს ჩემს კარიერაში.

— უკვე იცით, რომელ კლუბში ითამაშებთ მომავალ სეზონში?

— „იუვენტუსთან" კონტრაქტი მაკავშირებს, მაგრამ ჯერ რამეზე საუბარი ნაადრევია. სკანდალის დასრულებას უნდა დაველოდოთ და მერე უფრო კონკრეტულად გიპასუხებთ.

— ამბობენ, რომ თქვენით „ჩელსია" დაინტერესებული...

— გერმანიაში გამგზავრებამდე ვესაუბრე „ჩელსის" მფლობელ რომან აბრამოვიჩს, მაგრამ გადავწყვიტეთ, ერთმანეთს მსოფლიოს ჩემპიონატის დასრულების მერე შევხმიანებოდით. ინგლისში თამაშის საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მით უმეტეს ასეთ კლუბში.

— ჩემპიონობა თქვენც ჯანლუკა პესოტოს მიუძღვენით?

— რა თქმა უნდა. ეს გამარჯვება ყველას ეძღვნება, ვისაც გული შესტკიოდა და პერსონალურად ჯანლუკას. ჩვენ ჩვენი ომი მოვიგეთ, ახლა მისი ჯერია.

ის ბედნიერია, ის ხომ იუვეს ისტორიის ნაწილია

წარსულში ცნობილი ფრანგი ფეხბურთელი, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი დიდიე დეშანი თავისი ყოფილი გუნდის, ტურინის „იუვენტუსის" მწვრთნელად დანიშნეს და მანაც სიხარულით მიიღო შეთავაზება. ორწლიანი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ დეშანი ჟურნალისტებს გაესაუბრა.

„უზომოდ ბედნიერი ვარ, რადგან ტურინში დავბრუნდი და სათავეში ჩავუდექი ისეთ დიდი გუნდს, „იუვენტუსი" რომ გახლავთ — თქვა „ბებერ ქალბატონთან" ერთად უამრავი ტიტულის მომხვეჭმა 37 წლის მწვრთნელმა — მე „იუვეს" ისტორიის ნაწილი გახლავართ და გულშემატკივარს მის ფეხბურთელად ვახსოვარ. შესაძლოა, ყველაზე ლამაზ ფეხბურთს არ ვთამაშობდი, მაგრამ მოედანზე ყოველთვის ბოლომდე ვიხარჯებოდი და ასე გულითადი დამოკიდებულებით განვლილ მთელი კარიერა და მწამს, გუნდს სწორედ ეს მენტალიტეტი უნდა შევუნარჩუნოთ. „იუვენტუსის" ყველა ფეხბურთელს საკუთარი შესაძლებლობებისა უნდა სწამდეს, რისთვისაც საყოველთაო მხარდაჭერა გვჭირდება".

ლილიან ლეშანი

დაიბადა 1968 წლის 15 ოქტომბერს საფრანგეთის ქალაქ ბაიონში.

საფრანგეთის ნაკრების შემადგენლობაში ითამაშა 103 შეხვედრა და გაიტანა 4 გოლი. 1998 წელს მსოფლიოს, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონი გახდა.

1983-89 წლებში თამაშობდა „ნანტში", 1989-90 წლებში კი „მარსელში", სადაც საფრანგეთის ორგზის ჩემპიონი გახდა. 1990-91 წლების სეზონში დეშანი „ბორდოში" გამოდიოდა.

1991 წლის შემოდგომაზე „მარსელში" დაბრუნდა და 1992-ში კვლავ საფრანგეთის ჩემპიონატი, 1993-ში კი ევროპის ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

1994 წელს გადავიდა „იუვენტუსში", რომლის შემადგენლობაშიც სამჯერ მოიგო იტალიის ჩემპიონის ტიტული და და ერთხელ, 1996 წელს ჩემპიონთა ლიგაშიც გაიმარჯვა.

1999 წელს „იუვენტუსიდან" „ჩელსიში" გადავიდა, სადაც 2000 წელს ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თასზე გაიმარჯვა.

2000-2001 წლების სეზონში გადავიდა ესპანურ „ვალენსიაში", სადაც იშვიათად ათამაშებდნენ. იმ წელიწადს „ვალენსია" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გავიდა.

2001 წელს დიდიე დეშანი დაინიშნა „მონაკოს" მწვრთნელად. 2003-სა და 2005-ში „მონაკო" საფრანგეთის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გადის, ხოლო 2004-ში მესამეზე. ამ წლებში პირველზე სულ „ლიონია". დეშანის ხელმძღვანელობით „მონაკო" ჩემპიონთა ლიგის ფინალშიც გადის და იქ „პორტუსთან" მარცხდება 0:3.

2005 წლის სექტემბერში დიდიე დეშანი „მონაკოდან" მიდის და გუნდი საფრანგეთის ჩემპიონატს ცხრილში მე-15 ადგილზე ამთავრებს.

2006 წლის 10 ივლისს ორწლიან კონტრაქტს აფორმებს „იუვენტუსთან", იცის რა, რომ ეს გუნდი შესაძლოა, სერია B-ში ან სერია C-ში გააგდონ.

თუ ჩემპიონი გავხდი, ცოლად გამომყვები

ბუფონმა თასთან ერთად ქალიც მოიგო

„სკუადრა აძურას" მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა, რომელიც მუნდიალის საუკეთესო მეკარედ აღიარეს, მსოფლიოს ჩემპიონატთან ერთად როგორც ჩანს, ცოლიც „მოიგო". როგორც ირკვევა, ჯიჯის გერმანიასთან მოგებული ნახევარფინალის შემდეგ, სადილობისას, მისი მეგობარი გოგოსთვის, ალიონა სერედოვასთვის ხელი უთხოვია. ოღონდ პირობა ასეთი იყო: ქორწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში შედგებოდა, თუ იტალია ფინალში გაიმარჯვებდა. თვითმხილველთა თქმით, ცნობილი ფოტომოდელისთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ მან მალევე თანხმობა განაცხადა.

ამასობაში, ბუფონის აგენტმა სილვანო მარტინამ დაადასტურა ინფორმაცია, რომ მისი კლიენტით „მილანია" დაინტერესებული და. შესაძლოა, ეს ტრანსფერი შედგეს კიდეც, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ „იუვენტუსს" დააქვეითებენ, „როსონერის" კი არა, რაც ნაკლებ სავარაუდოა.

„მილანის" ვარიანტი მართლაც არის, მაგრამ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან მათ უკვე ჰყავთ უმაღლესი კლასის მეკარე — ნელსონ დიდა. „როსონერი" ერთადერთი გუნდია, რომელიც რეალურადაა დაინტერესებული ჩემი კლიენტით. „ინტერისა" და „რეალის" ვარიანტი კი წარმოუდგენლად მიმაჩნია. არის სურვილი ინგლისური კლუბებისგანაც, მაგრამ ძნელად სავარაუდოა, აქედან რამე გამოვიდეს. ვფიქრობ, სწორი იქნება, თუ ჯიჯი „დელე ალპის" დატოვებს, „იუვეს" სერია B-ში დაქვეითების შემთხვევაში, მაგრამ ასე რომც არ მოხდეს, არც ეს არის კატასტროფა. ტრანსფერი მხოლოდ მაშინ შედგება, თუ საინტერესო წინადადებას მივიღებთ, რომელიც ტურინელებსაც მოხიბლავს" — აღნიშნა მარტინამ.

ძოკი ანდელაძი

პრედრაგ მიატოვიჩი: კაპელო ძველ რაულს გაანახებთ

„რეალში“ ახალი ერა იწყება — რამონ კალდერონი პრეზიდენტი, ფაბიო კაპელო მწვრთნელი, პრედრაგ მიატოვიჩი სპორტული დირექტორი...

ინტერვიუ, რომელსაც ქვემოთ გთავაზობთ მადრიდულმა „ასმა“ სწორედ მიატოვიჩს ჩამოართვა. სპორტული დირექტორის პოსტზე ემილიო ბუტრაგენიოს შემცვლელი არაერთ საინტერესო თემაზე საუბრობს

ფაბიო კაპელო, რამონ კალდერონი და პრედრაგ მიატოვიჩი

— მსოფლიოს ჩემპიონატიდან დავიწყოთ. მუნდიალი იტალიელებს დარჩათ. ფეხბურთისთვის ეს პროგრესად უნდა ჩაითვალოს?

— რა თქმა უნდა. ჯერ კიდევ ჩემპიონატის დაწყებამდე ვამბობდი, რომ იტალია მუნდიალის ერთ-ერთი გამორჩეული ფავორიტი იყო. ძალიან ბრძოლისუნარიანი გუნდი ჰყავთ. იციან, მეტოქე რა ხერხით, როგორ უნდა დაამარცხონ. იტალიელები თამაშის წაკითხვის მაესტროები არიან, არ იბნევიან და პირველი წუთიდანვე მშვენივრად იციან, მოედანზე რისი გაკეთებაა საჭირო. აი, ეს კი მთავარია თანამედროვე ფეხბურთში. ლიპის ჰყავდა ფეხბურთელები, რომლებმაც ყველა სხვა ნაკრების წევრებზე უკეთ იცოდნენ მოედანზე ბრძოლა. გამიხარდება, მადრიდის „რეალი“ მომავალში თამაშის სტილით იტალიის ნაკრებს თუ დაემსგავსება. „სკუადრა აძურა“ ფინალში პირველი გაშვებული გოლის შემდეგ არ გატეხილა და თასიც დაისაკუთრა. ახლა დაცვა გავიხსენოთ. იტალიამ მუნდიალზე მხოლოდ ორი გოლი გაუშვა — პირველი ძაკარდომ საკუთარ კარში გაიტანა და მეორე ზიდანმა პენალტით შეაგდო... როცა გუნდმა დაცვის წესიერად მოწყობა იცის, ჩათვალეთ, რომ თამაში სანახევროდ უკვე მოგებული აქვს.

— გეტყობათ, „სკუადრა აძურათი“ აღფრთოვანებული ხართ. „რეალის“ ახალი მწვრთნელი კაპელოც იტალიელია...

— დიახ, ამიტომაც მომავალ სეზონში „რეალს“ უფრო ბრძოლისუნარიანს, შემტევს, მაგრამ ამასთანავე, დაცვაში უშეცდომოდ მოთამაშეს ვნახავთ. ფაბიოს კარგად ვიცნობ და ვიცი, როგორ მუშაობს. გუნდში მარტო ვარსკვლავთა სიმრავლე ვერაფერს გვიშველის. ამ მუნდიალზე თითქმის ყველა ბრაზილიის ჩემპიონობას წინასწარმეტყველებდა, პარეირას ნაკრებს კი თავადაც ხედავთ, რა დაემართა. კაპელო ჩვენ ტაქტიკურად და „რეალისთვის“ საჭირო დონით უზრუნველგვყოფს. სამომავლოდ მარტო ზრდასრულ, ბრძოლისუნარიან ფეხბურთელებს ვიყიდით და არა ისეთებს, თამაშს ახლა რომ სწავლობენ.

— ამით იმის თქმა გინდათ, რომ გუნდში მარტო ვეტერანებს მიიწვევთ?

— იქნებ ამიხსნათ, სიტყვა ვეტერანი რას ნიშნავს? ძალიან ბევრია 24 წლის ფეხბურთელი, რომელსაც თავის საქმეში ბევრი არაფერი გაეგება. ახლა ჩვენ 30-32 წლის მოთამაშეები გვაინტერესებს — მათ უფრო მეტი იციან და „რეალში“ თუნდაც 2 წლის თამაშით შეუძლიათ, კლუბს უზარმაზარი წარმატება მოუტანონ. დროის დაკარგვისა და ექსპერიმენტების უფლება არ გვაქვს.

— მაშინ, თუ ექსპერიმენტებზე უარს ვიტყვით, აგერ, კანავარო 32-ის და ძამბროტა თითქმის 30 წლისაა, ორივე მსოფლიოს ჩემპიონია...

— სადღეისოდ ზუსტად ამ ფილოსოფიით ვხელმძღვანელობთ, გამოცდილი ხალხი გვჭირდება, რომლებმაც გამარჯვების ფასი იციან. ბოლოს და ბოლოს სამი წელიწადია, „რეალი“ ვერანაირ ჯილდოს ვეღარ იგებს. რა თქმა უნდა, ახალგაზრდა ფეხბურთელების დროც მოვა, მაგრამ ახლა ტრანსფერებს ჩვენი გუნდის მდგომარეობის გათვალისწინებით განვახორციელებთ. რაიმე ტიტული აუცილებლად უნდა მოვიგოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შეცდომების უფლება არ გვაქვს.

— არჩევნებისას თქვენმა ბანაკმა ხალხს სესკ ფაბრეგასის, არიენ რობენისა და კაკას ყიდვა ალუთქვა. დაპირებები ახლაც ძალაშია?

— ცხადია, სამივეს გუნდში მოყვანისთვის ვიბრძოლებთ. ზეგ, ამ ფეხბურთელების კლუბებთან ტრანსფერის თაობაზე მოლაპარაკებებს გავმართავთ — ხალხი ნახავს, რომ ჩვენ სიტყვის ასრულება ვიცით. აი, „ბერნაბეუზე“ კაპელო და მიჩელი უკვე დავაბრუნეთ...

— პრეზიდენტმა კალდერონმა თქვა, 3 აგვისტომდე ექვს ან შვიდ ახალ ფეხბურთელს ვიყიდითო...

— რახან თქვა, აასრულებს კიდეც. ინჩასები მომავალი ორი კვირის განმავლობაში ბევრ სიახლეს ნახავენ. დირექტორატი ტრანსფერებზე შეუსვენებლივ მუშაობს.

— ზოგიერთის აზრით, კაკას მადრიდში ჩამოყვანა წინასაარჩევნო ბლეფი იყო...

— კაპელოს დაბრუნებაზეც ბევრს ყვიროდნენ, ბლეფია და ეგ საქმე არ იქნებაო. რა თქმა უნდა, კაკას „რეალში“ გადმოყვანა ძნელია, მაგრამ ამის შანსები მაინც არსებობს. „მილანთან“ უკვე გვქონდა კონტაქტი და გადაჭრით უარი არ უთქვამთ. არასდროს ფეხბურთსა და ცხოვრებაში უკან არ დამიხევია და დანებებას არც ახლა ვაპირებ. თან საჩქაროც არაფერია, ზაფხული ჯერ არ მთავრდება და ფეხბურთელებიც კლუბებისგან თუ ნაკრებებისგან ისვენებენ.

— ბერლუსკონის ან გალიანის თუ იცნობთ?

— სილვიოს არა, მაგრამ გალიანისთან „ფიორენტინაში“ ყოფნის დროინდელი ნაცნობობა მაკავშირებს. საერთოდ, „მილანის“ უფროსობასთან არ მაქვს ცუდი ურთიერთობა.

— „იუვენტუსი“ თუ დააქვეითეს, კანავაროს, ძამბროტას და ემერსონს ალბათ, იოლად გადმოიყვანთ...

— არც მთლად ეგრეა საქმე. ამ ფეხბურთელებს „იუვესთან“ კონტრაქტი აკავშირებთ, რომლის ერთ-ერთი მუხლითაც, წასვლის შემთხვევაში, კლუბს შესაბამისი თანხები უნდა გადაუხადონ. მნიშვნელობა არ აქვს, ასეთ დროს „იუვენტუსი“ სერია A-ში იქნება თუ სერია B-ში... კარგი ის არის, რომ ამ ბიჭებს „რეალში“ გადმოსვლა გულით უნდათ. იჯარით ფეხბურთელებს არ ავიყვანთ, როგორც „რეალის“ ისტორიას სჩვევია, თანამშრომლობა მხოლოდ ყველა სატრანსფეო წესის დაცვით მოსულ მოთამაშეებთან გვინდა.

— კანავაროს ან რომელიმე იტალიელ ლეგიონერს თუ შეხვდით?

— კანავაროს შევხვდი და ვუთხარი, თანამედროვე ფეხბურთში ასაკი მეორეხარისხოვანია-მეთქი. ჩემი აზრით, ბოლო ორ წელიწადში კანავარომ „იუვეს“ ორ სკუდეტოში და მუნდიალზე იტალიის გამარჯვებაში ლომის წილი შეიტანა. იმას თუ გავითვალისწინებთ, ვითომ „ბებერი“ კანავარო რას აკეთებს, 40 წლისაც რომ იქნება, გრანდი გუნდებიდან არ უნდა გაუშვა... მისი ფილოსოფია, აქტიურობა და გამარჯვებისადმი სწრაფვა მსოფლიოს ნებისმიერ მოთამაშეს შეშურდება. იმიტომაცაა პირველი მცველი. „იუვესთან“ მოლაპარაკება წინ მიდის და ყველაფერს გავაკეთებთ, კანავაროს შესაძენად.

— და მაინც: კანავაროს, ძამბროტას და ემერსონს „ვალაქტიკოსებს“ ვერ ავიყვანთ — „რეალმა“ კურსი შეიცვალა?

— „პირველ ელვარებაში“ ფაბიო კაპელო გუნდში საჭირო წონასწორობის მიღწევას ცდილობს. დონ ფაბიომ იცის, რომ იმ შემოხვევაში, თუ რომელიმე ვარსკვლავის ტრანსფერი ჩაგვივარდა, მისი არყოფნა ადგილობრივი ძალებით უნდა ავინაზღაუროთ. როცა ბრძოლისუნარიანი გუნდი გვეყოლება, ცალკეულ ვარსკვლავზე უკვე იმდენად აღარ ვიქნებით დამოკიდებულნი. თუმც ეს ბრწყინვალე საფეხბურთო ოსტატთა უგულებელყოფასაც არ ნიშნავს. გულშემატკივრები ისევ „რეალს“ უნდა დაუბრუნდნენ და მშობლიური გუნდის წარმატებებით ძველებურად უნდა იამაყონ.

— კარგია, თუ ეს სტრატეგია გაგიმართლებთ და სამეფო კლუბი მორიგ ფიასკოს გადარჩება...

— შემიძლია, დარწმუნებით ვთქვა, წლეულს უკვე ჯილდოები ვერსად გაგვექცევა. ძალიან ძლიერი მწვრთნელი მოვიყვანეთ გუნდში სამუშაოდ. კაპელომ იცის თავისი საქმე, ხოლო ის, რომ იგი იტალიელია და დაცვაში „დაგვახრჩობს“, არაკომპეტენტური ხალხის მონაჩმახია და სხვა არაფერი... მას დიდი გამოცდილება აქვს და ჩვენთვის ჰატივია კაპელოსთან ერთად დგომა. სერიოზულობა, შრომა, დისციპლინა — აი, რა იქნება ახალი „რეალისთვის“ მთავარი.

— თქვენ საბოლოოდ კაპელოს დაუჭირეთ მხარი, მწვრთნელს, რომელიც ათი წლის წინ ნერვებს აწყვეტდა პრედრაგ მიატოვიჩს და დავორ შუკერს...

— ალბათ, იმას გულისხმობთ, „რეალში“ ადრინდელი მწვრთნელობისას მე და შუკერს 2:0 ან 3:0 ანგარიშზე რომ აუცილებლად შეუცვლიდა ხოლმე. ეს, რა თქმა უნდა, მტკივნეული იყო, მაგრამ, როცა აქტიურ ფეხბურთს თავს ანებებ, ბევრ რაღაცას მხოლოდ მაშინ ხვდები. ახლა შემიძლია, „რეალის“ ამჟამინდელ ფეხბურთელებს თვალებში ჩავხედო და წაგების ინერციის მოშლა ვცადო...

— თქვენი ფეხბურთელობისდროინდელი ეტაპიდან „სანტიაგო ბერნაბეუზე“ მხოლოდ რაული, გუტი და რობერტო კარლოსი არიან დარჩენილნი...

— დიახ, მათთან ბევრს ვსაუბრობ, რადგანაც ერთმანეთს კარგად ვიცნობთ. მე, საერთოდ, დიალოგის კაცი ვარ და მაინტერესებს, ჩემი ახლობლები საერთო საქმეზე რას ფიქრობენ. მინდა, სამივე „ბერნაბეუზე“ დარჩეს და კაპელოც ამის მომხრეა. მწვრთნელს ძველი, ნამდვილი რაულის ხილვა სურს.

მაქსის მაქსიმალური მაქსიმუმი
არგენტინა ჩემპიონია... გოლებში



ფიფამ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე გატანილი საუკეთესო გოლი დაადგინა, რომლის პატივი არგენტინელ მაქსი როდრიგესს ხვდა წილად. თუ არ გახსოვთ, გაგახსენებთ ამ გოლს: არგენტინა — მექსიკის მერვედფინალური მატჩის დამატებით დროში მაქსიმ თანაგუნდელისგან შორეული პასი მიიღო, ბურთი მკერდით ჩამოიღო და ფეხი ისე ლაზათიანად მოიქნია...

მეორე ადგილზე კი ასევე არგენტინელის, ესტებან კამბიასოს გატანილი ბურთი სცნეს სერბეთის ნაკრების კარში გატანილი ჯგუფურ ეტაპზე.

მუნდიალის საუკეთესო მეკარედ კი იტალიის ნაკრების გოლკიპერი ჯანლუიჯი ბუფონი დაასახელეს.

ჯერჯერობით სხვა ლაურეატები ფიფას არ გამოუვლენია.

ლადო ხომერიკი

ობიექტი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP

იტალიაში ალბათ არ იციან ტკბილი მოგონებების სადღეგრძელო, თუმც 2006 წლის ზაფხულის ზღაპარს ტკბილად კი მოუყვებიან შვილიშვილებს. ზღაპარიც იყო და რმიც და, საფეხბურთო მსოფლიო ომიდან დაბრუნებულ „ცისფერ რაზმს“ ზღაპრულადაც ხვდებიან რომის აეროპორტში. სტრატეგ მარჩელო ლიპის და საველე კაპიტან ფაბიო კანავაროს იტალიის დროშებთან ერთად ერთი ფრანგულიც დაახვედრეს, რომელშიც ჩონჩხი გამოხვიეს და ზედ წაწერეს „ზიდანი ჩამოწერილიაო“. იტალიელთაგან პენალტებით ძლეული ფრანგებიც თბილად მიიღო მშობლიურმა ერმა დედაქალაქ პარიზში. ტრეზეგეს კი ცოდვის შეგრძნება ამძიმებს და თვალი ვერ გაუსწორებია გულმოკლული თანამემამულეებისთვის



AFP

AFP

AFP



AFP

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		რუსეთი						
		12 ივლისი						
19:00	3	მოსკოვი-ზენიტი	2.45	2.90	2.80	1.32	1.30	1.42
18:00	4	კრილია-ამკარი	1.50	3.70	6.00	1.06	1.20	2.28
19:00	5	რუბინი-ტორპედო	1.30	4.50	8.50	1.00	1.12	2.94
19:00	6	სპარტაკი-შინიკი	1.20	5.20	11.00	1.00	1.08	3.53
19:00	7	ნალჩიკი-ტომსკი	2.20	2.80	3.30	1.23	1.32	1.51
12:00	8	ენერგია-სატურნი	2.20	2.70	3.60	1.21	1.36	1.54
		ნორვეგია. ტიპელიგა						
		12 ივლისი						
21:00	20	ლილესტრიომი-ოდ გრენლანდი	1.60	3.40	5.50	1.08	1.23	2.10
		16 ივლისი						
20:00	22	რუსენბორგი-ფრედრიკსტადი	1.50	3.90	6.00	1.08	1.20	2.36
20:00	23	სანდეფიორდი-მოლდე	2.45	3.30	2.60	1.40	1.26	1.45
20:00	24	სტაბეკი-ჰამარი	1.95	3.30	3.55	1.22	1.25	1.71
22:00	25	ტრომსიო-ვოლერენგა	2.65	3.30	2.45	1.46	1.27	1.40
		17 ივლისი						
21:00	26	ბრანი-ვიკინგი	1.85	3.40	3.80	1.19	1.24	1.79
		შვედეთი. ალსვენსკა						
		15 ივლისი						
18:00	35	მალმიო-აიკ	1.80	3.30	4.00	1.16	1.24	1.80
		16 ივლისი						
19:00	36	იურგორდენი-ელფსბორგი	1.85	3.40	3.70	1.19	1.23	1.77
20:00	37	ჰალმსტადი-გიოტებორგი	2.35	3.30	2.75	1.37	1.26	1.50
		17 ივლისი						
21:00	38	ჰამარბი-იოსტერსი	1.35	4.30	8.00	1.02	1.15	2.79
22:00	39	ჰელსინგბორგი-ჰეკენი	1.55	3.70	5.50	1.09	1.20	2.21
		ფინეთი						
		12 ივლისი						
19:30	49	ლაჰტი-ტამპერე	3.70	3.20	1.85	1.71	1.23	1.17
		13 ივლისი						
19:30	50	ვპს-იარო	2.00	3.10	3.30	1.21	1.24	1.59
		იაპონია						
		12 ივლისი						
14:00	60	გამბა-ივატა	1.60	3.30	4.50	1.07	1.18	1.90
		ბრაზილია						
		12 ივლისი						
23:45	67	ატლეტიკო პრ-ფორტალეზა	1.55	3.50	4.90	1.07	1.17	2.04
23:45	68	ფლუმინენსე-ჟუვენტუდი	1.55	3.50	4.80	1.07	1.17	2.02
23:45	69	ინტერნასიონალი-პონტე პრეტა	1.40	3.80	6.50	1.02	1.15	2.39
23:45	70	სან პაულუ-გრემიო	1.45	3.70	5.70	1.04	1.15	2.24
23:45	71	კრუზეირო-კორინთიანსი	1.75	3.30	3.90	1.14	1.20	1.78
23:45	72	ფიგეირენსე-სანტოსი	2.35	3.20	2.55	1.35	1.22	1.41
23:45	73	სან კაეტანო-ბოტაფოგო	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
		13 ივლისი						
23:45	74	ფლამენგო-პარანა	1.90	3.20	3.40	1.19	1.21	1.64
23:45	75	პალმეირასი-ვასკუ და გამა	1.90	3.30	3.40	1.20	1.21	1.67
23:45	76	სანტა კრუსი-გოიასი	2.85	3.20	2.15	1.50	1.22	1.28
		ჩემპიონთა ლიგა						
		12 ივლისი						
21:00	94	შახტიორი სოლიგ.-შიროკი ბრიეგი	1.80	3.20	3.70	1.15	1.21	1.71
21:00	95	მეტალურგი ლ-აკტობე	1.30	4.30	7.50	1.00	1.10	2.73
20:00	[illegible]	მიუპა-ტნს	1.25	4.80	8.50	1.00	1.08	3.06
22:30	97	კორკი ს-აპოლონი ლ	1.65	3.40	4.10	1.11	1.17	1.85
		უეფას თასი						
		13 ივლისი						
22:30	98	პორტადაუნი-კაუნასი	3.30	3.30	1.90	1.64	1.20	1.20
22:30	99	რილო-სუდოვა	2.55	3.10	2.35	1.39	1.22	1.33
20:00	101	ჰელსინკი-დროგედა	1.40	3.80	5.50	1.02	1.11	2.24

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22:45	102	ბრიონდბიუ-ვალური	1.15	5.30	10.00	1.00	1.03	3.46
21:00	103	გეფლე-ლანელი	1.16	5.50	9.50	1.00	1.03	3.48
20:00	104	ჟენესი-სკონტო	6.50	4.30	1.30	2.58	1.08	1.00
22:00	105	ატვიდაბერგი-ეტცელა	1.05	7.50	14.00	1.00	1.00	4.88
20:00	106	ვარტეკსი-ტირანა	1.30	4.30	7.00	1.00	1.09	2.66
19:30	107	დინამო ტირ.-ცსკა(ბულ)	3.90	3.30	1.70	1.78	1.18	1.12
22:00	108	კოპერი-ლიტექსი	2.50	3.20	2.30	1.40	1.19	1.33
20:00	109	სარაევო-რეინჯერი	1.05	8.50	15.00	1.00	1.00	5.42
19:00	110	ორასიე-დომჟალე	2.15	3.20	2.60	1.28	1.17	1.43
23:00	111	პიბერნიანსი-დინამო(ბუქ)	9.00	4.80	1.20	3.13	1.05	1.00
21:00	112	აპოელი ნ-მურატა	1.05	8.50	15.00	1.00	1.00	5.42
22:45	113	რიეკა-ომონია	1.40	3.90	6.00	1.03	1.13	2.36
20:00	114	ვარდარი-რუზელარე	1.80	3.00	3.70	1.12	1.21	1.65
21:30	115	რაპიდი(ბ)-სლიემა	1.02	9.00	17.00	1.00	1.00	5.88
21:00	116	უიპესტი-ვადუცი	1.35	4.20	6.30	1.02	1.11	2.51
19:00	117	ბშტარაკი-იანგ ბოისი	4.80	3.80	1.45	2.12	1.11	1.04
22:00	118	ვიდეოტონი-კაირატი	1.25	4.60	7.50	1.00	1.07	2.85
21:00	119	ლინი-ფლორა	1.25	4.60	7.50	1.00	1.07	2.85
21:00	120	გიოტებორგი-დერი ს	1.30	4.50	6.70	1.00	1.08	2.69
19:00	121	კარვანი-ტრნავა	3.00	3.20	1.95	1.54	1.18	1.21
19:30	122	ზაგლებე-დინამო მინსკი	1.55	3.60	4.50	1.08	1.15	2.00
19:30	123	ვენტსპილსი-გოტა	1.12	6.00	12.00	1.00	1.02	4.00
19:30	124	ლევადია-ჰაკა	2.70	3.20	2.20	1.46	1.21	1.30
20:00	126	ბატე-ნისტრუ	1.40	3.70	6.50	1.01	1.15	2.35
21:00	127	ზიმბრუ-ყარაბახი	1.30	4.00	7.50	1.00	1.10	2.60
21:00	128	რანდერსი-ყრანესი	1.30	4.00	7.50	1.00	1.10	2.60
21:30	129	ლოკომოტივი სოფ-მაკედონია	1.30	4.50	7.50	1.00	1.10	2.81
22:00	130	ბაზელი-ტობოლი	1.04	8.00	15.00	1.00	1.00	5.21
22:00	131	სკალა-სტარტი	6.50	4.50	1.25	2.65	1.04	1.00
22:30	132	გლენტორანი-ბრანი	4.80	3.60	1.55	2.05	1.17	1.08
		ნორვეგია. თასი						
		12 ივლისი						
20:00	133	ბრინი-სტრიომგოდსეტი	2.35	3.30	2.70	1.37	1.25	1.48
20:00	134	სანდეფიორდი-სკეიდი	1.20	6.00	9.00	1.00	1.05	3.59
20:00	135	სტაბეკი-სოგნდალი	1.40	4.00	6.50	1.03	1.15	2.47

ფორმულა I საფრანგეთი.რბოლა

14 ივლისი

13:00 .... 1001 .... გამარჯვებული კლიენი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული რ შუმახერი 60.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული მონტანი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ხაიდფელდი 70.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ალონსო 1.70
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული მ შუმახერი 2.40
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული რაიკონენი 6.50
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ფიზიკელა 9.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული მასა 15.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული მონტოია 20.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული სატო 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ბარიკელო 45.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ტრული 60.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული უებერი 70.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული როსბერგი 80.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული კულტხარდი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ბილნევი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ლიუცი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ალბერსი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული მონტეირო 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული სპიდი 90.00
13:00 .... 1001 .... გამარჯვებული ბატონი 40.00

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები: თბილისი – მოსკოვის გამზირი №6; ზესტაფონი – აღმაშენებლის №39; გარდაბანი – აღმაშენებლის №12

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაალღეთ გალია პორტუგალიაში

დავით უსტიაშვილი და მისი საპორტუგალიო ნაკრები

ხვალ საქართველოს ახალგაზრდული, 20-წლამდელთა ნაკრები ლისაბონში მიფრინავს, სადაც ამ ასაკში ევროპის B დივიზიონის 16 გუნდი საკვალიფიკაციო ტურნირს მართავს.

B ანუ ქვედა ეშელონის 16 გუნდიდან A დივიზიონში 2 რჩეული აინაცვლებს. მანამდე კი გასავლელია პირველი და მეორე ჯგუფური ეტაპი, შემდეგ კი ნახევარფინალური შეხვედრა. 16 გუნდი 4 ჯგუფშია გადანაწილებული. ოთხი ჯგუფის 2-2 საუკეთესო მეორე ჯგუფურ ეტაპზე გადის, სადაც ასეთი 4-4 გუნდიანი ორი ჯგუფი დგება და აქაც 2-2 საუკეთესოს ეძლევა ნახევარფინალში გასვლის შანსი. მოკლედ, ყველაფერი მარტივადაა — ორი გადის და ორი ვერა, შემდეგ ისევ. მარტივია, მაგრამ იოლი ნამდვილად არ იქნება საქართველოს ნაკრებისთვის. ნახევარფინალი ბოლო კარიბჭეა — მოიგებ და A დივიზიონის კარსაც შეაჭრიალებ, სადაც ევროპის რჩეული ახალგაზრდები თამაშობენ.

პირველ ჯგუფურ ეტაპზე საქართველოს ნაკრების მეტოქეები იქნებიან ფინეთი (შეხვედრა 14 ივლისს), ისლანდია (15 ივლისი) და ჰოლანდია (16 ივლისი). ამ ჯგუფში პირველი ან მეორე ადგილის დაკავების შემთხვევაში ქართველები მეორე ჯგუფურ ეტაპზე 18-20 ივლისს ასევე 3 შეხვედრას გამართავენ, ნახევარფინალები კი 22 ივლისსაა დათქმული.

საქართველოს ნაკრები დავით უსტიაშვილის ხელმძღვანელობით და გელა წულაძის ასისტენტობით ერთი თვე ემზადებოდა ამ ტურნირისთვის, გუშინ კი კაფე „მსოფლიო სპორტში“ გამგზავრებამდე ორი დღით ადრე პრესკონფერენციაც გაიმართა, სადაც მწვრთნელებს თორმეტივე კალათბურთელი ახლდა.

დავით უსტიაშვილი: „ერთი თვე ნაყოფიერად ვემზადებოდით, დღეში ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა და შეკრებით კმაყოფილი ვარ. თუმცა სპარინგ-თამაშის გამართვა ვერ მოხერხდა. მთავარია, პირველი ეტაპი გადავლახოთ და ბიჭები სათანადო ფორმაში შეხვდნენ მეორე ეტაპს. რაც შეეხება გუნდს, შეკრება 15 მოთამაშით დავიწყეთ. 12-კაციან შემადგენლობაში ვერ მოხვდნენ გულისაბედაშვილი, მურჯიკნელი და ლაფანაშვილი. ჩამოსულია მანუჩარ მარკოიშვილი, მაგრამ მას ტრავმა აქვს და თავისი პროგრამით ვარჯიშობს.“

გელა წულაძე: „თურქებთან გვქონდა ამხანაგური თამაშის ვარიანტი, მაგრამ მათ უარი თქვეს, რაკი A დივიზიონში არიან, ამასთან მათ რამდენიმე ტურნირი ითამაშეს და ამიტომ ჩვენთან შეხვედრა არ სჭირდებოდათ. იყო საუბარი უკრაინელებთან სპარინგზეც, მაგრამ ისინი გვიან შეიკრიბნენ და თან რამდენიმე მოთამაშის ტრავმიანობის გამო თავი შეიკავეს.“

კოტე ყორშია

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები

4 გიორგი გაფრინდაშვილი
5 ლაშა გამყრელიძე
6 ნიკო ჩხატარაშვილი
7 ბესიკ ლეჟავა
8 გიორგი ცინცაძე
9 ირაკლი საყვარელიძე
10 რევაზ ათანელიშვილი
11 რევაზ დიდია
12 მიხეილ ბერუაშვილი
13 ვიქტორ სანიკიძე (კაპ)
14 დავით გვიმრაძე
15 მიხეილ ჭოჭუა

მთავარი მწვრთნელი:
დავით უსტიაშვილი
ასისტენტი: გელა წულაძე

თამაში, რომელიც დაგვიბრუნდა

როგორმე საამიც თუ დავაგრძელეთ...



გუშინ პოლონეთიდან დაბრუნდა საქართველოს სტუდენტ ხელბურთელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი ***მერაბ მეტრეველი***. შეგახსენებთ, კვირას გდანსკში დასრულებულ მსოფლიოს მე-18 ჩემპიონატზე ქართველმა ხელბურთელებმა ბრწყინვალედ იასპარეზეს და 13 ქვეყნის ნაკრებს შორის მეორე ადგილი დაიკავეს.

არადა, პოლონეთში გამგზავრების წინ მწვრთნელი ფრთხილ პროგნოზს აკეთებდა, ძლიერ ჯგუფში მოვხვდით და ამდენად, უკეთეს შემთხვევაში საერთო მეოთხე-მეხუთე ადგილს თუ დავიკავებთო. სიფრთხილის მიზეზი კი მეტრეველს მართლაც ჰქონდა:

— ოთხი წელია, რაც უძლიერეს ქართველ ხელბურთელებს ერთად არ უთამაშიათ. ამდენად, მთავარი იყო მათი ერთად შეკრება, შეთამაშება და მერე გამოცდილ ლეგიონერთა და ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშე „ახლების“ საქმეში გამოცდა. უმთავრესი მიზანი ხომ მომავალი წლის იანვარში ეროვნული ნაკრების ევროჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებით გამოსვლაა. გდანსკში ჩვენი ჯგუფი ობიექტურად მეორეზე ძლიერი იყო და ამდენად, თავიდან საპრიზო ადგილის იმედი არ ჩანდა, მაგრამ მოვლენები ისე განვითარდა და ჩვენმა ბიჭებმა ისეთი შემართებით იბრძოლეს, რომ ზედიზედ სამი გამარჯვებით ექვს ნაკრებს შორის პირველ ადგილზე გავედით და საჩემპიონო ფინალში თამაშის უფლება მოვიპოვეთ.

— ოქროს მედლების შანსი თუ გქონდათ?

— შანსი, ცხადია, იყო. მით უმეტეს, მას შემდეგ, რაც საყოველთაო აზრით ფავორიტად შერაცხულმა რუსეთის ნაკრებმა პირველი ტაიმის შუაში ხუთბურთიანი სხვაობის (11:6) მიუხედავად, ვერ გაგვტეხა და ცხრა წუთში ვითარება ჩვენს სასარგებლოდ შეიცვალა — 13:12. მაგრამ თავი იჩინა ნერვიულობამ, შეტევებისას შეცდომებმა და ტაიმი ოთხი ბურთით დავთმეთ. შესვენების შემდეგ ზედიზედ სამი გოლი კი გავიტანეთ, მაგრამ საფინალო სასტვენამდე გათანაბრება ერთხელაც ველარ მოვახერხეთ. ცოტა იმის ბრალიცაა, რომ ერთხანს მოედანზე ვითარება გამწვავდა მას შემდეგ, რაც რუსებმა სერგო დათუკაშვილს და რატი მსხვილიძეს სახეში ხელი მოარტყეს. ბუნებრივია, ჩვენებმა იმათი შეტევისას ხურდა დაუბრუნეს, რაზეც სლავთა მწვრთნელი სკამიდან წამოვარდა, გვცემენო. მეც ავყევი და მსაჯებმა ორივენი ყვითელი ბარათებით დაგვსაჯეს. ამის შემდეგ ვითარება ჩაწყნარდა და ბოლომდე აღარ გამწვავებულა. დარბაზში, რომელიც 5 000 მაყურებელს იტევს, საშინლად ცხელოდა, იმდენად, რომ მოედანი დასველდა და მოთამაშეები წამდაუწუმ ეცემოდნენ. ამ წაქცევა-გამშრალების მიზეზით ისედაც დაძაბული ბრძოლის დასკვნითი ათწუთიანი მონაკვეთი თითქმის ნახევარ საათამდე გაიწელა. გამარჯვების ბოლო შანსი კი მაშინ დავკარგეთ, როცა საფინალო სასტვენამდე ხუთიოდე წუთით ადრე, მიყოლებით ორი შეტევისას პირისპირ გასულებმა ვერ გავიტანეთ, რისთვისაც დავისაჯეთ, თავად მივიღეთ გოლი და გათანაბრების ნაცვლად პასივი ორი ბურთი გახდა.

— ჩემპიონატის ვებ-გვერდზე ლამის ყოველი თამაშის მიმოხილვისას იწერებოდა, მაღალი დონის მატჩი იყოო.

— მართლაც, გდანსკში მყოფმა მწვრთნელმსაჯებმა ერთხმად აღნიშნეს, ბოლო წლებში ყველაზე მაღალი კლასის ხელბურთი ვიხილეთო. და ამდენად, გამორჩეულად სასიხარულოა საქართველოს ნაკრების ვერცხლის მედლები. ერთი სიტყვით, დავამტკიცეთ, რომ ისევ ვართ სახელბურთო ქვეყანა და საერთაშორისო სარბიელზე ანგარიშგასაწევი ძალა.

— და, რასაკვირველია, ძალიან სასიამოვნოა, რომ ტურნირის სიმბოლურ ნაკრებში მეკარე შოთა თევზაძე და მეგოლე ვლადიმერ რუსია დაასახელეს.

— თევზაძემ იმდენად საიმედოდ და შთამბეჭდავად ითამაშა, რომ ჟიურიმ ერთხმად დაასახელა მეკარეთა შორის საუკეთესოდ. რუსიას „შახტარმა“ გასულ სეზონში უკრაინის ჩემპიონატში მესამე ადგილი დაიკავა. ვოვამ აშკარად მოუმატა თამაშს და დამსახურებულადაც შევიდა შვიდეულში. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩეხებს და იაპონელებს ორი არნახული, ფანტასტიკური გოლი გაუტანა, რითაც სპეციალისტთა საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია.

— სხვა მოთამაშეებზე რას იტყვით.

— სამწუხაროდ, ჩვენი აქილევსის ქუსლია სათადარიგოთა სკამის სიმოკლე. ექვსივე უდაძაბულესი მატჩის სიმძიმემ, ფაქტობრივად რვა ხელბურთელის ზურგზე გადაიარა. ძალიან გაზრდილა შვედეთში მოთამაშე სერგო დათუკაშვილის ოსტატობა. აბა, ქართველს ტყუილად ხომ არ დაასახელბდნენ სკანდინაველები თავიანთი ჩემპიონატის საუკეთესო ინსაიდად. სერგომ დაამტკიცა, რომ ევროპული დონის, სტაბილური და შედეგიანი მოთამაშეა. გდანსკში მას გამთამაშებლობა დავავალეთ და ჩინებულადაც გამოიყურებოდა ახალ ამპლუაში. თანაც არც თავისი მთავარი საქმე — გოლის გატანა დაივიწყებია და 45 ზუსტი ტყორცნით ბომბარდირთა შორის მესამე ადგილზე გავიდა. ორივე ფრთა — რევაზ ჭანტურია და გიორგი ქობელაშვილი შეტევისას ზესწრაფები, ეფექტურები და რაც მთავარია, შედეგიანები იყვნენ. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მაკედონიის ჩემპიონ ჭანტურიას პროგრესი სისწრაფეშიც და ტაქტიკურ აზროვნებაშიც. გიორგი წივწივაძე ყველა პოზიციაზე გამოვცადეთ და შეიძლება ითქვას, ყველგან გაამართლა. 18 წლის გიგანტი რატი მსხვილიძე (204სმ) კი მართლაც უნიკალური ახალგაზრდაა და უკვე დაიმკვიდრა ადგილი ძირითად შემადგენლობაში. თუმც ისიცაა სათქმელი, რომ მასაც და წივწივაძესაც ბევრი მუშაობა მართებთ უფრო მაღალი დონის მისაღწევად.

გია ახალაძე



ნაკრების ლიდერები: იზორია და კუპატაძე

ᲪᲔᲠᲪᲕᲐᲫᲘᲡ ᲛᲘᲜᲣᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲐᲗᲔᲣᲚᲘ

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲣᲨᲢᲡᲐᲓᲔᲜᲘ: ᲑᲐᲥᲝ-ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ-ᲞᲚᲝᲕᲓᲘᲕᲘ

14-24 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ბულგარეთის ქალაქი პლოვდივი მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატს უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრებმა ათკაციანი შემადგენლობა გაამზადა. ერთადერთი თავისუფალი წონა 64 კილოგრამია — ორ ძირითად კანდიდატს ევრორინგზე ასვლის შანსი პრადმა პრობლემებმა დააკარგვინა. ათეული კი პლოვდივის გზას წუხელ დაადგა. დავით წიკლაურის გუნდი თბილისი-სტამბოლი-სოფიას რეისით გაფრინდა, სოფიიდან კი პლოვდივში ავტობუსით ჩავა. პლოვდივში მოკრივეები ერთ დღეს დაისვენებენ და საქმეს შეუდგებიან. ნაკრების თავკაცს გუშინ გლდანის სპორტკომპლექსში შევხვდით. დასკვნითი ერთკვირიანი შეკრება ევროპაზე წამსვლელებმა სწორედ იქ გაიარეს. იქამდე კი აზერბაიჯანშიც ივარჯიშეს.

— ორკვირიანი აზერბაიჯანული შეკრება ბიჭებისთვის უდიდესი სკოლა იყო. ბაქოში, საფეხბურთო კლუბ „ნეფთჩის“ კომპლექსში ბრწყინვალე პირობებში ვცხოვრობდით და იქაურ ნაკრებთან ერთად დღეში ორჯერ ვვარჯიშობდით. აზერბაიჯანელები კრივში გამორჩეულად ძლიერები არიან. მათი გუნდი ევროპის სამეულში და მსოფლიოს ხუთეულში შედის და წარმოიდგინეთ, ასეთი სპორტსმენების მხადრამხარ მზადება გამოუცდელი ქართველებისთვის რა სასარგებლო იქნებოდა.

— რამდენი სპორტსმენით ჩახვედით ბაქოში?

— ცამეტი მოკრივე ჩავიყვანე. სწორედ ამ ცამეტიდან უნდა შემერჩია საბოლოო შემადგენლობა. გასარკვევი ორი წონაღა იყო. კანდიდატებს შორის შეკრების ბოლოს სპარიხგ-შეხვედრები ჩავატარე. იქამდე კი ყველას მიეცა საშუალება რინგზე დაპირისპირებოდა აზერბაიჯანის პირველ, მეორე და მესამე ნომრებს, თავი არავის შეურცხვენია. ყველამ ვაჟკაცურად იბრძოლა.

— ნაკრების სამი წევრი კახა ჟვანია, ბექა ლობჟანიძე და ლევან ღვამიჩავა საქართველოს დატოვებას და პროფესიულ კრივში გადასვლას აპირებდა. დაახლოებით ერთი თვის წინ მათ გადაწყვეტილება შეცვალეს და ევროსამზადისში ჩაერთვნენ. მოასწრეს პლოვდივის შემადგენლობაში დამკვიდრება?

— სამივე კარგ ფორმაშია, მაგრამ ბულგარეთში მხოლოდ ჟვანია და ლობჟანიძე მიგვყავს. ღვამიჩავას იძულებითმა შესვენებამ მათზე მეტად შეუშალა ხელი. წონის დარეგულირება ვეღარ მოასწრო და შედეგად, 64 კილოგრამში საქართველოს მონაწილე არ ეყოლება.

— შემცვლელი რატომ ვერ მოუძებნეთ?

— კობა ქარქაშაძის დაყენებას ვგეგმავდით, მაგრამ ახლახან შევიტყვეთ, რომ მას ამის უფლება არ ჰქონია. კობამ ორი ბრძოლა პროფესიონალებში ჩაატარა. ეს ჩვენც ვიცოდით, მაგრამ ვფიქრობდით, რომ ეს ბრძოლები არაოფიციალურად ჩაეთვლებოდა, თუმცა ოქმებში შეუტანიათ. ძალიან კარგი მოკრივეა და სამწუხაროა, ასე უაზროდ რომ დავკარგეთ.

— ნიკოლოზ იზორია და კონსტანტინე კუპატაძე როგორ ფორმაში არიან?

— ორივე გულმოდგინედ ემზადება. კუპატაძემ აზერბაიჯანში მცირე ტრავმა მიიღო, მაგრამ უკვე ბოლომდე მოირჩინა.

— ყველა ჯანმრთელადაა?

— ერთადერთი, ჟვანიას აწუხებს მარჯვენა ხელი. ბაქოში, პირველსავე სპარინგ-შეხვედრაზე კუნთი დაეჭიმა, თუმცა იმედია ეს პრობლემაც მალევე მოგვარდება.

— ბიჭების წინასაევროპო მზადყოფნით კმაყოფილი ჩანხართ. ხომ არ გაგვიმხელთ, რა შედეგს ელით?

— პროგნოზის გაკეთება ცუდად მაქვს დაცდილი. ჯობია თავი შევიკავო. გუნდის საერთო მზადყოფნით მართლაც კმაყოფილი ვარ. დანარჩენი კი პლოვდივის რინგზე გამოჩნდება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ	
48 კგ	ზვიად ხადური
51 კგ	გიორგი კილანავა
54 კგ	ნიკოლოზ იზორია
57 კგ	კობა ფხაკაძე
60 კგ	კონსტანტინე კუპატაძე
69 კგ	კახა ჟვანია
75 კგ	რეზო ქარელიშვილი
81 კგ	დავით წიკლაური
91 კგ	ბექა ლობჟანიძე
+91 კგ	იუზა გულორდავა

ᲰᲝᲞᲙᲘᲜᲡᲡ ᲛᲣᲨᲢᲘ ᲛᲝᲕᲜᲐᲢᲠᲐᲞ

ᲔᲠᲗᲘ ᲗᲕᲘᲡ წინ ბერნარდ ჰოპკინსმა — ჯერ კიდევ რინგზე რომ იდგა და მუშტებს ანტონიო ტარვერის ცხვირ-პირისთვის ამზადებდა — თქვა, ეს ჩემი უკანასკნელი ბრძოლა იქნება, მოკლედ, მივდივარ, მაგრამ თუ ვინმე 20-მილიონიან ჰონორარს შემომთავაზებს, ამ ფულისთვის რინგზე მოვბრუნდები კი არა, საფლავიდანაც ავდგებიო.

ჰოპკინსმა დიდებულ ბრძოლაში დაამარცხა ტარვერი და მერე დიდი რინგიდან საბოლოოდაც ჩამოდგა ფეხი. მაგრამ გავიდა ერთი, მეორე, მესამე კვირა და ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უგანთქმულესი საშუალოწონოსანი ხვდება, რომ კრივი მარტო ფულის გამო არ ჰყვარებია. მას თვით კრივი ისე ენატრება, რომ პროფესიული მუშტის ქნევისგან თავისუფალ ცხოვრებაში ადგილს ვერ პოულობს.

„საშინელი მოწყენილობა მიტევს. აი, ვზივარ სამზარეულოში და არ ვიცი, თავს რა მოვუხერხო. არ შემიძლია ასე მშვიდად ჯდომა, ავდგები, გაზონს ვკრეჭ, მანქანას ვრეცხავ ან ნარგავებს ვრწყავ. ოჯახთან ერთად მაიამიშიც ვისვენებდი, მაგრამ იქაც ვერ მოვისვენე. ვიცი, რომ ბრძოლისთვის მომზადება აღარ მომიწევს, მაგრამ დილით მაინც ადრე ვდგები და დავრბივარ. შესაძლოა, ამ მოწყენილობამ 10 წლის შემდეგ გამიაროს“ — მოწყენილობას ხუმრობითაც ებრძვის ყოფილი ჩემპიონი.

ჰოპკინსს არ უთქვამს, რომ რინგზე დაბრუნება სურს, რაც უნდა იყოს, 41 წლისაა და ახლა უკვე გაუჭირდება მდინარეში მეორედ შესვლა. მაგრამ მაინც ფორმაში ყოფნას ცდილობს და იმ 185-გირვანქიან (83,9 კილოგრამი) წონას ინარჩუნებს, ტარვერთან რკენის წინ რომ ჰქონდა. სპარინგებიც უნდა გავაგრძელოო, ამბობს. ახალგაზრდა ბიჭებიც შეურჩევია, მათ შორის ჯეელი ძმიშვილი დემეტრიუს ჰოპკინსიც.

„შეიძლება, ახლა 80 წლის ვარ, მაგრამ სანამ იმის შნო მექნება, რომ ხელთათმანები დაბლა არ დამივარდეს და რინგზე მუხლები არ მომეკვეთოს, სპარინგობას მანამ გავაგრძელებ.“

ამასობაში კი ამ სამი კვირის წინ მოხუც ჰოპკინსთან შეხლის წინ ფავორიტად შერაცხული, მაგრამ წაქცეული და ჩემპიონის ტიტულდაკარგული ტარვერი სხვაზე ცდილობს ჯავრის ყრას — აბა, ჰოპკინსს მაიამიში პლაჟზე ხომ არ მიუვარდებოდა?! ერთი მეტოქეც შეიგულეს მისმა პრომოუტერებმა, ვინმე ჯეფ ლესი, მაგრამ ეს უკანასკნელი შეხვედრაზე უარს ამბობს და მიზეზად ჰონორარის სიმცირეს ასახელებს. ორგანიზატორები მას 1,5 მილიონ დოლარს სთავაზობენ.



ტარვერი კი გაოცებული თუ გაცოფებულია — „თუნდაც ერთი მოკრივე დამისახელეთ, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონი არაა და არასაჩემპიონო მატჩში მილიონნახევრიან ჰონორარზე უარს იტყვის. ვერ დამისახელებთ იმიტომ, რომ არ არსებობს ასეთი უგუნური. მას ამდენი მთელი კარიერის განმავლობაში არ გამოუმუშავებია და ამის მერე ლესის გუნდი ამბობს, რომ ჩვენს მხარეს მისი გაძარცვა უნდა?! ეს სისულელეა და მეტი არაფერი.“

ლესი და მისი პრომოუტერი კი ამბობენ, რომ წინასწარი შეთანხმებისას 1,5 მილიონზე კი არა, შემოსავლის 55/45 პროცენტებში გაყოფაზე იყო საუბარი. ლესი გაღმა ედავება ტარვერს — „უკმაყოფილების უამრავი მიზეზი მაქვს. ტარვერი ტარვერია და ყოველთვის ტარვერად დარჩება. მე კი არა, ის გაურბის ბრძოლას. ყოველთვის, როცა მორიგ კომპრომისზე მივდივარ, ის ახალ მოთხოვნებს აყენებს. მე ეს თავიდანვე ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — მას უბრალოდ არ ჰყოფნის ჩემთან შეხვედრისთვის სითამამე...“

ასეა, მოკრივეები ერთმანეთში აღრეც კინკლაობდნენ და ახლაც. ბერნარდ ჰოპკინსს კი კრივობა ენატრება.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲫᲘᲐ

ᲥᲕᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲥᲕᲔᲚᲘ ᲑᲘᲫᲘᲐ ᲯᲝ





მუჰამედ ალი და ჯო ფრეზერი: რა დრო გასულა?!

ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐᲠᲣᲚᲘ ჯო ფრეზერი რინგს უბრუნდება. თავის დროზე ყველა მუშტმაგარი მოკრივის, მათ შორის თვით მუჰამედ ალის წამქცევი და მსოფლიოს ჩემპიონის ქამარშემოკრული ფრეზერი ახლა 62 წლისაა და 30 ნოემბერს ქალაქ მემფისში 65 წლის მერ ვილი ჰარინგტონთან 3-რაუნდიან ბრძოლას აპირებს. მატჩის ორგანიზატორები რკინის მოხუცების საჩვენებელი ბრძოლის მთელ შემოსავალს ქველ საქმეს მოახმარენ - თანხას გადაურიცხავენ იმ ორგანიზაციებს, რომლებიც ზრუნავენ ნარკომანებზე და არაძალადობის გამო ნასამართლევ პატიმრებზე.

„ამ ბრძოლას სრული სერიოზულობით ვეკიდები“ — ამბობს ვილი ჰარინგტონი, რომელსაც თურმე ამერიკაში ყოჩაღი ბერიკაცის სახელი დაუგდია, ერთთავად ვარჯიშობს, ამ ბრძოლისთვის კი ორთვიანი სპეცმომზადების კურსის გავლასაც აპირებს. ჩანს, სულაც არ უფრთხის დევკაც ფრეზერს. ჰარინგტონი ხშირად მონაწილეობს საქველმოქმედო აქციებში, თუმც ქველმოქმედების გამო მუშტი პირველად მოხვდება.

ᲙᲝᲢᲔ ᲧᲝᲠᲫᲘᲐ

კოკაიმ ხასიათი გამოიკეთა

წითელ დრაკონს თითი ასტკივდა

აიტის ბაშოზე ლევან ცაგურიამ გუშინ „მატადორი“ ამინისიკი წააქცია და დადებითი ბალანსი შეიქმნა. მარცხიანი დასაწყისის შემდეგ აღებული ორი ქულით კოკაი ლიდერთა მდევრების ამქარში გაერია. ლიდერი კი ერთბაშად რვა დიდკაცია.

რა თქმა უნდა, რვეულშია მონღოლი „ცისფერი დრაკონი“, იოკოძუნა ასასიორუ. მისი მესამე ლუკმა ექსკომუსუბი კაკიძოე გახდა. სპეციალისტებს კვლავ აოცებს ესტონელი ბალტი. ამ 197-სანტიმეტრიანი დევკაცის ანგარიშზეც სამი ქულაა. სუმოისტმა, რომელიც მხოლოდ მეორე დიდ ბაშოს ჭიდაობს, გუშინ ათას ბაშოზე გადამხტარი, 31 წლის სეკივაკე კიოკუტენხო მოისროლა ხალიჩის მიღმა.

იოკოძუნობის კანდიდატ ხაკუხოს, კოკაის მსგავსად, ორი ქულა აქვს, თან მანაც მეორე-მესამე ტურებში იმარჯვა. დადებითი ბალანსის მომტანი გამარჯვება მონღოლმა გუშინ, „თეთრი რუსული მთის“, ხაკურროზანის გადაგორებით მოიპოვა. დღეს კი ხაკურროზანის ღვიძლ ძმას, როხოს შეხვდება. ცნობისთვის, ძმები ოსები არიან და ბევრი მათ ალანიელ გოლიათებადაც მოიხსენიებს.

მესამე ტურში ერთი საინტერესო ამბავიც მოხდა. ხაკუხოს გამამწარებელი, „წითელი დრაკონი“ ასასეკირიუ, ხალიჩაზე საერთოდ არ გამოცხადდა და წაგება ჩაეთვალა. მიზეზი მარჯვენა ფეხის ცერა თითის ტრავმაა. მოტეხილი არაა, მაგრამ სამი კვირით დასვენება აუცილებელიაო, უთქვამთ ექიმებს. ასასეკირიუ კი ჯიუტად გაიძახის, ბაშოს ფინიშამდე მაინც დავბრუნდებიო.

დღეს მეოთხე ტურია. კოკაი ექსსეკივაკე ხოკუტორიკის დაეჭიდება.

ოთარ გაღლაკელიძე

93-ე ტურ დე ფრანსი 2006, 1-23 ივლისი

სამნი მაინც მოიშორეს



ოსკარ ფრეირემ (56) მილმეტრებით აჯობა რობი მაკივენს

ერთდღიანი შესვენების შემდეგ რიგით 93-ე „ტურ დე ფრანსი“ მე-9169,5 კილომეტრიანი ეტაპით განახლდა და ეს იყო ბოლო ბარის ეტაპი პირინეიული უღელტეხილების წინ. დღეს და ხვალ გასკონიაში, ანუ საფრანგეთის ბასკეთში ველოქარავანს ორი სამთო ეტაპი ელის და სწორედ პირინეიულმა აღმართ-დაღმართებმა უნდა გამოავლინონ იმ მრბოლთა ვინაობა, რომლებიც შემდეგ, უკვე ალპებში გაარკვევენ წლევანდელი „ტურის“ უძლიერესის ვინაობას.

გუშინ კი ბორდოდან სამხრეთისკენ, დაქსამდე მიმავალ გზაზე არანაირი მთა არ ყოფილა და, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაფერი დაქსის ქუჩებში ჯგუფური სპრინტით გაირკვა. რბოლის საუკეთესო სპრინტერის სარგო მწვანე მაისურაში გამოწყობილ ავსტრალიელ რობი მაკივენს ძალიან სურდა, მიმდინარე „ტურზე“ თავისი მეხუთე გამარჯვება მოეპოვებინა, მაგრამ ამჯერად ბელგიური „ლოტოს“ მრბოლს კოვზი ნაცარში ჩაუვარდა. „ლოტოს“ წევრებმა თითქოს ყველაფერი გააკეთეს საიმისოდ, მათ ლიდერს იდეალური საფინიშო პოზიცია რომ ჰქონოდა, მაგრამ კიდევ უფრო უკეთ იმუშავეს ჰოლანდიური „რაბობანკის“ მრბოლებმა, რომლებმაც თავიანთ საუკეთესო სპრინტერს, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ ოსკარ ფრეირეს გაუკაფეს გზა და 30 წლის ესპანელმაც მშვენივრად დააგვირგვინა თანაგუნდელთა დაწყებული სამუშაო — წლევანდელ რბოლაში მეორე გამარჯვება მოიპოვა.

ფრეირესა და მაკივენთან დუელში არანაირი შანსი არ ჰქონიათ სპრინტის სხვა დიდოსტატებს — ბელგიელ მსოფლიოს ჩემპიონ ტომ ბოონენსა და გერმანელ ვეტერან ერიკ ცაბელს, რომლებიც მიმდინარე „ტურზე“ ვერაფრით ახერხებენ გამარჯვების მოპოვებას.

არადა, იყო შანსი, დაქსის ქუჩეში სახელოვანი სპრინტერები სტატისტების როლში ყოფილიყვნენ, სამი მრბოლი — ვალტერ ბენეტუ, კრისტიან კნისი და შტეფან აუგე საწყის კილომეტრებზევე მოწყდა პელეტონს და გვარიანად წინ გაიჭრა. გაქცეულთა უპირატესობამ ერთი ხანობა 8 წუთსაც კი უწია და მართალია, მერე ველოქარავანმა მკვეთრად მოუმატა ტემპს, სამეული ლიდერობას თითქმის დაქსის ქუჩებამდე ინარჩუნებდა.; ბოლოს პელეტონმა მაინც ჩაყლაპა სიქაგამოცლილი ავანტურისტები და ჩვეული საფინიშო გარჩევა მოაწყო.

ოღონდ ერთია — ქარავანმა მთლად ერთიანად ვერ უწია ფინიშს, რამდენიმე ჯგუფად დაიყო და ამ დაყოფამ საერთო ჩათვლის მთლად ლიდერთა შორის არა, მაგრამ ათეულში გარკვეული გადაადგილებები გამოიწვია. კერძოდ, მოწინავეებს 13-13 წამით ჩამორჩნენ გერმანელები მარკუს ფოტენი, მატიას კესლერი და რუსი დენის მენშოვი, რომლებიც პირველი ათეულის მიღმა აღმოჩნდნენ, ხოლო ამერიკელმა ლევი ლეიფეიმერმა, რომელიც „ტურის“ დაწყებამდე ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტად მიიჩნეოდა, სულაც წუთი და 45 წამი წააგო გამარჯვებულთან და ახლა ლიდერს, უკრაინელ სერგეი გონჩარს, უკვე უიმედოდ, მთელი 8 წუთით ჩამორჩება.

გია მუჯირი

მეცხრე ეტაპი. ბორდო — დაქსი. 169,5 კმ

1 ოსკარ ფრეირე (ესპანეთი, რაბობანკი)	3სთ. 35წთ. 24წმ.
2 რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო)	
3 ერიკ ცაბელი (გერმანია, მირლამი)	
4 ტომ ბოონენი (ბელგია, ქვიკ სტეპი)	
5 კრისტიან მორენი (საფრანგეთი, კოფიდისი)	ყველას იგივე დრო

საერთო ჩათვლა

1 სერგეი გონჩარი (უკრაინა, T-მობაილი)	38სთ. 14წთ. 17წმ
2 ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი)	+1წთ
3 მაიკლ როჯერსი (ავსტრალია, T-მობაილი)	+1წთ. 8წმ
4 პატრიკ სინკევიჩი (გერმანია, T-მობაილი)	+1წთ 45წმ
5 ანდრეას კლოდენი (გერმანია, T-მობაილი)	+1წთ 50წმ



რიშარ გასკე

რიშარის ახალი ნიშანი: სტაბილურობა

კაცები
ბასტადი. შვედეთი. თიხნარი
საპრიზო 323 250 €

პირველი წრე

ნიკოლაი დავიდენკო (1, რუსეთი) — **ალბერტო მარტინი** (ესპანეთი) 6:4, 6:1; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ბორის პაშანსკი** (სერბეთი) 6:2, 6:3; **ხუან-კარლოს ფერერო** (8, ესპანეთი) — **ერვინ ელესკოვიჩი** (შვედეთი) 6:3, 3:6, 6:3; **ოლივიე მარახი** (ავსტრია) — **ფილიპ პრპიჩი** (შვედეთი) 6:3, 6:7, 6:2; **ტომი რობრედო** (2, ესპანეთი) — **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) 4:6, 6:1, 6:4

კაცები
გშტაადი. შვეიცარია. თიხნარი
საპრიზო 421 250 €

პირველი წრე

ივან ლიუბიჩიჩი (1, ხორვატია) — **ალბერტ პორტასი** (ესპანეთი) 6:3, 7:6; **მარკო ჩიუდინელი** (შვეიცარია) — **დავიდე სანგინეტი** (იტალია) 6:3, 6:2; **რუბენ რამირეს იდალგო** (ესპანეთი) — **რობინ როშარდტი** (შვეიცარია) 6:1, 6:4; **ფელიჩიანო ლოპეზი** (6, ესპანეთი) — **ფილიპო ვოლანდრი** (იტალია) 6:4, 6:4; **დანიელე ბრაჩიალი** (იტალია) — **ფლავიო სარეტა** (ბრაზილია) 5:7, 6:1, 6:4; **ფერნანდო ვერდასკო** (3, ესპანეთი) — **დიკ ნორმანი** (ბელგია) 6:4, 6:3; **რიშარ გასკე** (7, საფრანგეთი) — **სიმონ გროილი** (გერმანია) 6:3, 6:3

კაცები
ნიუპორტი. აშშ. ბალახი
საპრიზო 355 000 $

პირველი წრე

იგორ კუნიცინი (რუსეთი) — **ბობი რეინოლდსი** (აშშ) 7:5, 6:2; **რობერტ კენდრიკი** (აშშ) — **ვინსენტ სპადეა** (8, აშშ) 6:4, 3:6, 6:3; **ჰოლ კაპდევილია** (ჩილე) — **ჟილ მიულერი** (4, ლუქსემბურგი) 7:6, 6:2; **რიკ დე ფოსტი** (სამხრეთ აფრიკა) — **ლუკაშ კუბოტი** (პოლონეთი) 6:2, 6:2; **იურგენ მელცერი** (6, ავსტრია) — **რაზვან საბაუ** (რუმინეთი) 7:5, 7:5

ორი სლემტურნირის — „როლან გაროსისა“ და უიმბლდონის მოლეკვის შემდეგ საჩოგბურთო სამყაროში შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა. ჩოგბურთელთა ერთი ნაწილი ისვენებს, ხოლო უიმბლდონიდან ნაადრევად გამოვარდნილი და კორტს მონატრებული მეორე ნაწილი ამ კვირებში სათიხნარო და საბალახო სეზონებს დახურავს და მერე ყველა ჩრდილო ამერიკულ ჰარდს მიაშურებს.

დაწყებული ტურნირებიდან კი ჯერჯერობით განთესილებს ყველაზე მეტად ნიუპორტში, სეზონის ბოლო საბალახო შეჯიბრზე უჭირთ — პირველივე სათამაშო დღეს უკვე მოასწრეს წაგება ტურნირის მეოთხე და მერვე ნომრებმა, ჟილ მიულერმა და ვინსენტ სპადეამ. პირველი ამ ბოლო დროს ბალახს გაშინაურებულმა ჰოლ კაპდევილიამ დაიფრინა. აი, სპადეას კი თანამემამულემ და უიმბლდონიდან რაფაელ ნადალის მეორე წრიდან კინალამ გამომგდებმა რობერტ კენდრიკმა მოუგო.

სამაგიეროდ, განთესილები ჯერჯერობით უდანაკარგოდ მიდიან შვეიცარიულ გშტაადში. ისე, აქ როჯერ ფედერერი ყოველთვის თამაშობდა ხოლმე საკუთარი მაყურებლის წინაშე, მაგრამ ბოლო ორი წელია, „მხიარულმა როჯერმა“ უღალატა ამ ტრადიციას და თამაშს დასვენებას არჩევს.

ამიტომ ყველაზე ცნობილი, ვის ყურებაც შვეიცარიელებს მოუწევთ, ივან ლიუბიჩიჩი იქნება. ხორვატმა პირველი წრე საკმაოდ იოლად გაიარა და ახლა მასპინძელ ჩიუდინელისთან ელის პაემანი.

კარგად ითამაშა რიშარ გასკემაც, რომელიც ბოლო დროს ცოტა სტაბილური გახდა. ფრანგთა ერთ-ერთმა დიდმა იმედმა, როგორც ჩანს, იპოვა თავისი თამაში — გუშინაც სიმონ გროილს შანსი არ დაუტოვა.

ესპანელთა ზეობა შვედურ ბასტადში აღინიშნა, თუმც ტომი რობრედოსაც და ხუან-კარლოს ფერერსაც ძალიან გაუჭირდათ თავიანთი არცთუ სახელიანი მეტოქეების ძლევა.

სამაგიეროდ, მძლავრად იჩოგნავა ნიკოლაი დავიდენკომ — რუსს, რომელმაც უიმბლდონი ნამეტანი ადრე დატოვა, კარგად დასვენება მოუსწრია და ახლა კორტზე გაათამაგებული ენერგიით იქნევს ჩოგანს.

კახა ლომაშვილი



ივან ლიუბიჩიჩი

ამელი მორესმო ყოველთვის მაღალი დონის ჩოგბურთელად ითვლებოდა და თითქმის ყველა ტურნირის წინ ფავორიტთა შორისაც სახელდებოდა, თუმც ფრანგი ვერაფრით ახერხებდა ამ სტატუსის გამართლებას და გადამწყვეტ მატჩებს ყოველთვის ცუდად ატარებდა. ასე იყო, მაგრამ წლეულს გარტეხა მოხდა — ამელიმ უკვე მეორე სლემტურნირი მოიგო და უბრალოდ კარგი ჩოგბურთელობიდან გამარჯვებულთა მარაქის წევრად იქცა. უიმბლდონური ტრიუმფის შემდეგ მიცემულ ინტერვიუში მორესმო სხვა თემებთან ერთად თავისი წარმატებების მიზეზებზე საუბრობს

პირსახოცში გახვეული შთაგონება

დაბრძენებული ამელი ტრიუმფის წამით ტაბება

— ავსტრალიური ტრიუმფისგან განსხვავებულად გრძნობთ თავს?

— არ ვიცი. არა, ჯერაც ვერ დამიჯერებია ბოლომდე, რომ უიმბლდონი მოვიგე. თითქოს კორტზე არ ვიყავი და მე არ ვთამაშობდი, ბოლომდე ჯერ ვერ გავიაზრე... თან თითქოსდა ყველაფერი უეცრად, თვალის დახამხამებაში მოხდა — მოვიგე ნახევარფინალი, არადა, მანამდე სამჯერ გამაჩერეს აქ და ამ ბარიერს ვერ ვცდებოდი. წელს კი მომეცა ტიტულისთვის ბრძოლის შანსი და ის გამოვიყენე. გამოვიდა, რომ ორი სლემტურნირი ერთ წელიწადში მოვიგე — არა, ეს, მე მგონი, მართლა სიზმარია. ძალიან ბევრი სირთულე გადავიტანე ამის მიღწევამდე და ყველაფერი ჩემი ახლობლების მხარდაჭერით დავძლიე, რის გამოც მათი უზომოდ მადლიერი ვარ. დღესაც, თამაში რომ არ წამივიდა, ვიცოდი, რომ ნებისმიერ შემთხვევაში ისინი ბოლომდე მხარში მედგებოდნენ. ამას ვგრძნობდი, რამაც ძალები შემმატა და თამაშში გარდატეხის შეტანა შევძელი.

— ამელი, თქვენ განსაკუთრებით კარგად ითამაშეთ საკუთარ მოწოდებაზე, კერძოდ კი მატჩის მიწურულს...

— მართლაც, ორი ეისი ყველაზე გადამწყვეტ მომენტებში ცუდი ნამდვილად არ არის. ყოველთვის უფრო თავისუფლად გრძნობ თავს, როცა იცი, რომ არსენალში ასეთი მძლავრი იარაღი გაქვს და კრიტიკულ მომენტში ის გიხსნის. ასე გამოვიდა დღეს, თუმც წინა შეხვედრებში მოწოდებას სათანადოდ ნამდვილად ვერ ვიყენებდი. მოკლედ, დღეს მოწოდებაზე კარგმა თამაშმა საკმაოდ გამიადვილა საქმე.

— ბოლო გეიმში ნერვიულობდით?

— უფრო მატჩ პოინტის დროს, რაც, ალბათ, გასაგებიცაა. თუმც მთელი მატჩის განმავლობაში კონცენტრირებული ვიყავი ჩემს თამაშზე, ყოველ მოწოდებასა თუ დარტყმაზე.

— თქვენს მიერ დღეს ნაჩვენები თამაშიდან რა იყო ყველაზე დასამახსოვრებელი?

— ის, თუ როგორ შევძელი მატჩის ჩემს სასარგებლოდ შემოტრიალება. ფინალში ხარ და ენენთან 2:6 წააგე სეტი — დამიჯერეთ, ამ დროს ყველგან გინდა იყო, ოღონდ კორტზე არა. ამიტომაც თავში თავისთავად იბადება კითხვები — ახლა რა ვქნა, რა მეშველება, რა უნდა გავაკეთო ამ სიტუაციიდან გამოსაძრომად და... ჰოდა, მეც ამ მომენტში საკუთარ თავს შემოვუძახე, გავამხნევე და გადავწყვიტე, მეორე სეტის დაწყებისთანავე აგრესიულად მეთამაშა.

— თქვენ აწოდებდით და ცდილობდით, ბადესთან სწრაფადვე გასულიყავით. ამ სტილით უკვე კაცებიც კი აღარ თამაშობენ...

— კი, ეგრეა.

— ისურვებდით, რომ უფრო მეტმა ითამაშოს ასე, ბალახისთვის დამახასითებელი ტაქტიკით?

— აი, ეგ კი ნაკლებად მანაღვლებს.

— როგორ ფიქრობთ, ტურნირის ასე, ბალახის ტაქტიკით მოგება უფრო დასაფასებელს ხდის ამ გამარჯვებას?

— არც ისე. ბადესთან ჟუსტინიც ხშირად გამოდიოდა. ასე რომ, მარტო მე არ მითამაშია ამ სტილით. მე უფრო ის აღმაფრთოვანებს, რომ პირველი სეტის პირწმინდად წაგების მერე მაინც შევძელი თამაშის შემოტრიალება. სხვა მართლა ნაკლებად მაღელვებს.

— შესვენებებისას სახეზე პირსახოცს იფარებდით ხოლმე, რატომ?

— შთაგონების წყაროს ვპოულობდი.

— მაინც როგორ?

— რა გითხრათ, არც კი ვიცი, რატომ ვაკეთებდი ამას. ალბათ, კონცენტრირებაში მეხმარებოდა. პირველი სეტის მერე ასე გავაკეთე და თითქოს გაამართლა. მეც გავაგრძელე.

— თქვენ ხშირად გაკრიტიკებდნენ არამდგრადი ნერვების გამო. ეს ძალიან გწყინდათ?

— არც ისე. რეალისტი ვარ და სხვებზე უკეთ ვიცი, რომ ნერვებმა რამდენჯერმე სერიოზულად დამაღალატეს. მაგრამ რას იზამ — ასეთი ვარ და შეცვლა ძნელია. სწორედ ამიტომ სხვებზე მეტი დრო დამჭირდა ამ პრობლემის მოსაგვარებლად.

— უკვე ბევრს მიაღწიეთ, მაგრამ ბევრიც იწვალეთ. ეს უფრო ტკბილს ხდის თქვენს წარმატებებს?

— უეჭველად. შვიდი წლის წინ რომ მომეგო რომელიმე დიდი ტურნირი, ასეთი "ტკბილი" მაინც არ იქნებოდა. თუმც ბოლო თვეებია, ყველაფერი კარგად მიდის. უკვე ვიცი, ნერვებს როგორ გავუმკლავდე, ჩოგბურთშიც უკეთესად ვერკვევი. მოკლედ, დავბრძენდი რა.

— დეკემბრში WTA-ს მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ძალიან დაგეხმარათ წლევანდელ წარმატებულ თამაშში?

— უეჭველად. ამას ყოველთვის ვამბობდი და მომავალშიც ოვივეს ვიტყვი. იმ მოგებამ თვითრწმენა გამიორმაგა.

— თქვენ ძალიან ემოციური იყავით კორტზე. რას ფიქრობდით იმ დროს?

— ფიქრის თავის ვის ჰქონდა. ეს იყო წმინდა წყლის ემოცია, ნამდვილი ადრენალინი და სიხარული, კონკრეტული მომენტით, წამით ტკბობა. კორტიდან რომ გავდიოდი, პირველი აზრი მაშინ მოვიდა თავში.

— სახლში ღვინოების დიდი კოლექცია გაქვთ. რაიმე სპეციალურად ხომ არ გაქვთ შემონახული ამ გამარჯვების აღსანიშნავად?

— არა, ამაზე არ მიფიქრია. ჩემს შანსებს არცთუ ოპტიმისტურად ვუყურებდი და ამაზე არც მიზრუნია. თუმც ჩავალ სახლში და იქ რაიმეს მოვიფიქრებ. განსაკუთრებულად რომ აღვნიშნავ ამ გამარჯვებას, ეჭვი არ შეგეპაროთ.

ანა ლომაშვილი

ქართველებს თურქეთმა არ გაუჭრა

იზმირში დასრულდა ევროპის ჩემპიონატი ფარიკაობაში. საქართველოს ნაკრები თურქეთში მხოლოდ ვაჟთა გუნდებით ჩავიდა. ყველაზე მეტი, 4 მოფარიკავე ხმალში გვყავდა, თუმცა 49 მონაწილეს შორის, მათ 38-ე 42-ე ადგილები გაინაწილეს. ჯგუფური შეხვედრების შემდეგ, პლეი ოფში მხოლოდ ნიკოლოზ ბახსოლიანმა (38) გააღწია. ექვსი ჯგუფური შეხვედრიდან ორის მომგებმა, უნგრელ ბალაშ ლონტაკთან მარცხით დაასრულა ტურნირი. ორი მეტოქე დაამარცხა ზურაბ ბახსოლიანმაც (39). დავით მთვარელაძემ (42) და კახა მაღრაძემ (40) კი ჯგუფში მხოლოდ თითოჯერ იმარჯვეს. ამ უკანასკნელმა, სულაც მცირე სენსაცია გამოაცხო — მომავალ ჩემპიონს, რუს ალექსეი იაკიმენკოს ავჯობა. ვერცხლის მედალი უკრაინელ ვლადიმირ ლუკაშენკოს ერგო, ბრინჯაოები — ფრანგ ჟულიენ პილეს და რუმინელ ფლორიან ზალმირს.

დაშნით ფარიკაობაში 84 მონაწილე მოგროვდა და აქ ქართველებმა ცოტა უკეთესი შედეგი აჩვენეს. 49-ე ადგილზე გასულმა დავით არველაძემ ჯგუფში ექვსიდან სამი შეხვედრა მოიგო და პლეი ოფში გავიდა, თუმცა ბრიტანელ კალმან ტომასთან ვეღარას გახდა. ანზორ ალბრეხტმა (56) და დავით ელბაქიძემაც (64) პლეი ოფში დახარეს დაშნა. იქამდე კი ორ-ორი ჯგუფური შეხვედრა მოიგეს. საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1 — ივან კოვაჩი (უნგრეთი), 2 — ბასტიან სიკო (საფრანგეთი), 3 — ალფრედო როტა (იტალია) და პაველ კოლობკოვი (რუსეთი.

ხმლით გუნდურ პირველობაში ჩემპიონი უნგრეთი გახდა. საქართველო მეთერთმეტეზე გავიდა თორმეტ გუნდს შორის. დაშნით რუმინელებმა იმარჯვეს, ჩვენებურები კი ცხრამეტში მეჩვიდმეტენი იყვნენ.

რაპირაში მხოლოდ ერთი ქართველი, სანდრო სიხარულიძე გამოვიდა. ჯგუფური ექვსი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი მოიგო და 67 მონაწილეს შორის 58-ე ადგილი დაიკავა. ფინალში გერმანელმა რალფ ბისდორფმა ბრიტანელ რიხარდ კრუზეს მოუგო, ბრინჯაოს მედლები კი მეორე გერმანელმა ბენჟამინ კლეიბრინკმა და ფრანგმა კრის გუიარტმა აიღეს.

ოთარ მაღლაკელიძე

ფანხიოს ნაწილი გაიყიდა

ტალბოტ-ლაგო T26C, ის მანქანაა, ლეგენდარული ავტომრბოლი ხუან მანუელ ფანხიო რომ დააქროლებდა ოდესღაც. ეს საოცრება ლე მანის ტრეკზეა გამოფენილი კრისტის აუქციონის მიერ. მყიდველი ფანხიოს თანამემამულე უცნობი არგენტინელი ჩანს, რომელმაც სატელეფონო ვაჭრობით 1,27 მილიონი დოლარი შესთავაზა აუქციონს.

AFP ლე მანიდან

AFP ამსტელვეენიდან

ერთქალი ბიგ-ჩმპიონა

ბალახის ჰოკეისტ ქალთა ჩემპიონთა თასზე მძიმე ბრძოლებია. ქალთათვის ეს სპორტი საკმაოდ მძიმე და ტრავმატულია. თუმცა ბრძოლები ფიცხელია. ტურნირის მასპინძელი ჰოლანდიაა და იქაურებიც კარგად იბრძვიან, გერმანელები დაუმარცხებიათ. ამ სურათზეც, ტკივილისგან ტანჯულ გერმანელ ტინა ბახმანს ჰოლანდიელი ფერა ფესტენბოხი ადგას თავს.



AFP რაციუდან



ვეფხვი ბარსაში

დიდი საფეხბურთო კლუბები აზიურ ბაზრებზე მომაგრებას ცდილობენ. „მანჩესტერისა“ და „რეალის“ კვალს „ბარსელონაც“ მიჰყვება, რომელიც ტაილანდურ სალუდე იმპერია „ტაიგერს“ დაკავშირებია და სამწლიანი კონტრაქტიც გაუფორმებია.

წყლის გმირობანი

ეს გამარჯვებაა: უნგრელი ნატაშა იანიცი წყალშივე ზეიმობს მეექვსე ოქროს მედალს. ევროპის ჩემპიონატი ნიჩბოსნობაში კი მართლაც საინტერესოა. რუმინელთა ოთხეულმა ფლორიან მირონჩიჩის წინამძღოლობით 500 მეტრზე შეჯიბრი მოიგო და ბელარუსებსა და მასპინძელ უნგრელებს გადაუსწრო.



AFP რაციუდან

შეჩერება

ბრიტანელმა პოლა რედკლიფმა, მსოფლიო ჩემპიონმა მარათონულ რბენაში, გამოაცხადა, რომ ფეხმძიმედაა და შეჯიბრებებში მონაწილეობას წყვეტს. ამბობენ, რომ პოლა მშობიარობის შემდეგ მაინც დაუბრუნდება სპორტს.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ ღოლენჯაშვილი, ბადრი ჯეიოლაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II პრიბუსი, IV სართული
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00